ელექტრონული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 სექტემბერი 1999 №184 (957) | ფასი 50 თეთრი


## ქინქლაძე: გაიყიდება თუ გაქირავდება?

ურთიერთგამომრიცხავი ამბები ნისლიანი ალბიონიდან

## ბექემის მორიგი გადარჩენა



„იუნაიტედის" ვარსკვლავს მსაჯები სწყალობენ

## პრემიერი ერს შეუერთდა

ტონი ბლერი მანჩესტერელთა საშინაო თასზე დაბრუნებას იმედოვნებს

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



მიხეილ ქორქია



გუშინ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ორმა ქართველმა იჭიდავა. გიორგი ჯინჭველაშვილმა (69 კგ.) თურქი ნესკუმ გულერი დაამარცხა, მუხრან ვახტანგაძემ (85) კი პირველივე შეხვედრა წააგო. გუშინწინ გამართულ შეხვედრებზე დაწვრილებით მეთხუთმეტე გვერდზე იხილეთ.

# დღეს ბოლნისი ბათუმს ელის

*სადღეისო და საერთოდაც ამ უქმეებზე გასამართი მატჩებიდან ცენტრალური „სიონი" — „ბათუმია". ზღვისპირელთა იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალე დღეს პირველად ეწვევა ამბიციამოჭარბებულ ბოლნისს, რომელსაც მეტადრე ბათუმელთა შავკაც უჩე უკვჯვეს ხილვა აინტერესებს*



ამასწინანდელი „ვიტ ჯორჯია" — „სიონი".
გიორგი ყიფშიძე (შუაში) და ბახვა მოსეშვილი გიორგი ქორიძეს ბოჭავენ

იხილეთ მეოთხე გვერდი

## საქართველოს ჩემპიონატი — 6 ტური

«ა» ზონა

25 სექტემბერი, შაბათი

სიონი — ბათუმი

26 სექტემბერი, შაბათი

სამგურალი — დინამო

28 სექტემბერი, შაბათი

არსენალი — ვიტ ჯორჯია

გადაიდო

ლოკომოტივი — თბილისი

«ბ» ზონა

25 სექტემბერი, შაბათი

დილა — იბერია

ხობი — ტორპედო

გორდა — მერანი

29 სექტემბერი, შაბათი

კოლხეთი — თსუ

# ახალი ტურნირი ძველი სახეების გარეშე

## დღეს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე რიგით მესამე ქართუ & თბილისის ქალთა ღია პირველობა იწყება

*შარშანდლისგან განსხვავებით, საპრიზო ფონდი აღარ გაზრდილა და ისევ 25 ათასი ამერიკული დოლარია, სამაგიეროდ, უჩვეულოდ გაფართოვდა ტურნირის მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი: თბილისს წლეულს მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და ევროპის კი არა, ისეთი ეგზოტიკური და შორეული ქვეყნების წარმომადგენლებიც ეწვევიან, ავსტრალია, ბრაზილია, ტუნისი, კოლუმბია და არგენტინა რომ არიან.*

იხილეთ მეთორმეტე გვერდი




ვინუს უილიამსის დამმარცხებელმა ელენა დემენტიევამ თბილისში ჩამოსვლა აღარ იკადრა

# დავითნიძე ფოთს შერჩა

## ნივას ანგარიშზე თანხა გადარიცხულიაო

**გასრულდა** ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა...

ღამის სიზმრისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი ამბავი კი ნამდვილად დასრულდა. ეს ამბავი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველს, გიორგი დავითნიძეს ეხება. როგორც იქნა, ბოლო მოეღო მის უკლუბოდ ყოფნას, ტერნოპოლი-თბილისის გზაზე ხეტიალმა ფეხბურთელი ფოთში ჩაიყვანა. სწორედ „კოლხეთმა" დააკმაყოფილა ტერნოპოლის „ნივას" მოთხოვნა — ქართველში რაც გვეკუთვნის, ის თანხა (12 000 დოლარი) გადაიხადეთ და წაიყვანეთო.


ბადრი კეთილაძის ფოტო
გიორგი დავითნიძე

ჰოდა, ფოთელებმაც ჯიბეზე გაიკრეს ხელი. მებრძოლი, მინდორზე ჯიგრიანად მოთამაშე ფეხბურთელი რატომ დავკარგოთო და...

— კლუბის ოფიციალური სპონსორის, ფოთის საზღვაო-სანაოსნო პორტის ხელშეწყობით 12 000 დოლარი, ის თანხა, რასაც „ნივა" ითხოვდა დავითნიძეში, ტერნოპოლური კლუბის ანგარიშზე უკვე გადარიცხულია. მთავარი ისაა, რომ გიორგი დავითნიძე უკვე რა ხანია ჩვენთან ვარჯიშობს და „კოლხეთში" თამაშის სურვილიც აქვს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 29 სექტემბერს თსუ-ს წინააღმდეგ (მოგეხსენებათ, ეს მატჩი, „კოლხეთი" — თსუ, ხვალ უნდა გამართულიყო, მაგრამ ფედერაციამ 18-წლამდელთა ნაკრებში ოთხი თსუელის მიწვევის გამო სწორედ 29-თვის გადადო) იგი აუცილებლად ითამაშებს. დავითნიძე სულ ცოტა, ერთი წლის მანძილზე გუნდში იქნება. „კოლხეთში" ასევე ერთი სეზონი დარჩებიან სომხეთიდან მობრუნებული ელდარ გვასალია და ისრაელში გასინჯვაზე წასული და ასევე მობრუნებული ჯონი შალამბერიძე. თუ მწვრთნელმა ინება, ალბათ, თსუ-სთან ისინიც ითამაშებენ, თუმცა ერთი პრობლემა გვაქვს, თავდამსხმელ გვასალიას წელის ტკივილი აწუხებს. ვიმედოვნებთ, მალე გამოჯანმრთელდება — გვითხრა გუშინ „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ, როდესაც მას ფოთში დავუკავშირდით.

ეს ყველაფერი კარგი. დავითნიძის „კოლხეთში" თამაშზე საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორია თბილისის „მერანის" პოზიცია? მას ხომ ფეხბურთელზე გარკვეული უფლება ჯერ კიდევ აქვს, მით უმეტეს, თუ ტრანსპორტელთა კლუბის პრეზიდენტის, ნუგზარ ნავაძის „სარბიელთან" ერთ-ერთ ბოლო ნაუბარს გავიხსენებთ...

— როდესაც ტერნოპოლის „ნივამ" დავითნიძე წაიყვანა, მან ფაქტობრივად გიორგი მოატყუა. იგი ჯერ კიდევ ჩვენი საკუთრებაა. იმ შემთხვევაში, თუ „ნივა" მოისურვებს მის გასხვისებას, ამას ჩვენივე თანხმობის გარეშე ვერ გააკეთებს.

ახლა კი ბატონი ნუგზარის გუშინდელ ნათქვამსაც გაგაცნობთ:

— კიდევ ვიმეორებ, ჩვენივე თანხმობის გარეშე გამორიცხულია. იმ შემთხვევაში, თუ დავითნიძის მსურველი კლუბი თანხას ტერნოპოლელებს გადაუხდიდა, ჩვენ ყაბულს ვიყავით, მას ერთი წლით ეთამაშა. ამ შემთხვევამ უნდა გაფორმებულიყო დოკუმენტი, რომელსაც სამივე მხარის და ფეხბურთელის ხელმოწერა ექნებოდა. ასეთ შემთხვევაში დავითნიძეს უფლება ეძლეოდა ფოთის „კოლხეთში" თამაშისა, ბოლოს და ბოლოს, ვინმეს ხომ უნდა დაეთმო. ისევ და ისევ ფეხბურთელის საკეთილდღეოდ ასე ვარჩიეთ. ვიცოდით, რომ დავითნიძეს ამდენ ხანს უქმად ჯდომა ძლიერ ავნებდა და ამიტომ გადავწყვიტეთ, ასე მოვქცეულიყავით.

კიდევ ერთხელ, ხაზგამსით ვიმეორებ, გიორგი დავითნიძეს მხოლოდ ამ შემთხვევაში, ესე იგი სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ეძლევა სრული უფლება, ერთი წლის მანძილზე ფოთის „კოლხეთში" ითამაშოს.

ესეც ასე. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დავითნიძე კოლხი გახდა და თუ ფოთელთა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამაც ინება, „ჯორჯო" თსუ-ს დაუხვდება. ისე, ეგებ „კოლხეთი" ახლა მაინც მოძლიერდეს, აქეთ დავითნიძე, იქით გუნდში მობრუნებულები — გვასალია და შალამბერიძე...

აქვე ჩემსასაც ვიტყვი, ცოტა გაუგებარია კოლხთა ნათქვამი, დავითნიძის თაობაზე „მერანი" არ დაგვკავშირებიაო...

**გიორგი ვაშაკიძე**

# ზაზა ჯანაშია კვლავ მზადაა


ბადრი კეთილაძის ფოტო

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთილი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი ზაზა ჯანაშია ბოლო დროს ტრავმებმა შეაწუხა. მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველ ფორვარდს აგვისტოს შუა რიცხვებში მიღებული ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, რომ 11 სექტემბერს კვლავ დაშავდა. ამ დღეს „ლოკომოტივი" ვლადიკავკაზში „ალანიას" სტუმრობდა. ის მატჩი ზაზამ ჩინებულად ჩაატარა, მოსკოველებმა სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად გაიმარჯვეს — 2:0. თავად ჯანაშიამ კი თანამემამულე მამუკა წერეთელთან ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მარჯვენა ფეხის ბარძაყის უკანა მხარე დაიზიანა და რკინიგზელთა ორი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა. ზაზამ ვერც უეფას თასზე, დანიურ „ლიუნგბიუსთან" სტუმრად გამართულ პირველ მატჩში ითამაშა და ვერც რუსეთის ჩემპიონატში ელისტის „ურალანთან" დაეხმარა თავისიანებს.

საბედნიეროდ, ზაზა ჯანაშიას ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდა. გუშინ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველი თავდამსხმელი დანარჩენ ფეხბურთელებს ოთხშაბათს შეუერთდა და ეს დღეებია, გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

„მიუხედავად იმისა, რომ ჯანაშია ვარჯიშს შეუდგა, დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვი, რომ იგი დღეს იაროსლავლში „შინიკის" წინააღმდეგ ითამაშებს" — განუცხადა „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა რუსულ მასმედიას.

ჯანაშიას გამოჯანმრთელებამ გუნდს, შეიძლება ითქვას, სულზე მიუსწრო, რადგან რუსეთის ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი იწყება. (მის დასრულებამდე ექვსი ტურიღა დარჩა) „ლოკომოტივი" კი, მოგეხსენებათ, „სპარტაკს" ჩემპიონის ტიტულისთვის ებრძვის. თანაც რკინიგზელებს ასევე ტრავმის გამო კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი — დმიტრი ბულიკინი აკლიათ. ექიმთა ვარაუდით, ბულიკინიც სულ მალე მოემჯობინდება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ქინქლაძე: გაიყიდება თუ გაქირავდება?

## ურთიერთგამომრიცხავი ამბები ნისლიანი ალბიონიდან

**გუშინ** ინგლისიდან გიორგი ქინქლაძის აგენტების, „აიაქსისა" და „შეფილდ იუნაიტედის" მოლაპარაკებების თაობაზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოვიდა.

საფეხბურთო ტრანსფერების ოფიციალურმა ვერსიებმა ინტერნეტში ქინქლაძისა და „შეფილდ იუნაიტედის" მოლაპარაკება დასრულებულად გამოაცხადა. ინფორმაციის მიხედვით, კონტრაქტზე ხელის მოსაწერად ფორმალობებიღაა დარჩენილი და ქინქლაძე „სულ მალე" იჯარით წავა „შეფილდ იუნაიტედში".

აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა „იუნაიტედის" თავკაცმა ადრიან ჰითმაც. მისი თქმით, „მოლაპარაკებები წინ მიიწევს, ქინქლაძე თანახმაა „შეფილდში" გადასვლაზე და კვირაში 20 000 გირვანქა ხელფასზე."

სამწუხაროდ, ჰითი ამ ინფორმაციაში არ აკონკრეტებს იჯარით სურს ქინქლაძის აყვანა, თუ მის ყიდვას აპირებს. თუმცა, როგორც გუშინ „დეილი მირორმა" გამოაცხადა, „შეფილდი" მზად იყო, „აიაქსისთვის" 2,5 მილიონი გირვანქა გადაეხადა.

გუშინვე „შეფილდის" ბანაკიდან ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საწინააღმდეგო ხმებიც გამოვიდა. კერძოდ, ინგლისური გაზეთი „ინდეპენდენტი" წერს, რომ ჰითი კვლავ იჯარის თაობაზე აგრძელებს მოლაპარაკებებს „აიაქსთან". ჰოლანდიური კლუბი იჯარის კატეგორიული წინააღმდეგია და ქართველში 2,5 მილიონ გირვანქას ითხოვს.

„ინდეპენდენტი" კი აცხადებს, რომ „შეფილდი" არ წავა კლუბისთვის სარეკორდო თანხის გადახდაზე, მას ამის შესაძლებლობა უბრალოდ არა აქვს და „შეფილდში" ქინქლაძის ტრანსფერიდან არაფერი გამოვაო.

ერთი სიტყვით, ვითარება ერთობ ბუნდოვანია. ერთის მხრივ, ძალიან საეჭვოა, რომ არასწორი ინფორმაცია გაევრცელებინა ტრანსფერების ოფიციალურ ვებსაიტს ინტერნეტში (ყოველ შემთხვევაში, ამ ერთი წლის მანძილზე ეს არ დამიფიქსირებია). მეორე მხრივ კი (ესეც გუშინდელი ინფორმაციაა), „შეფილდმა" მართლაც ვერ შეძლო მარსელის „ოლიმპიკიდან" განელი მცველის, არტურ მოზერის ყიდვა („მარსელი" მილიონ გირვანქას ითხოვდა) და ახლა ფრანგულ კლუბს ორწლიან იჯარაზე ესაუბრება, რაშიც 500 000 გირვანქას იხდის.

ბურუსი ქინქლაძის გარშემო, როგორც ადრიან ჰითი დაგვპირდა, კვირის ბოლომდე გაიფანტება. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ორშაბათს დაველოდოთ.

**სიმონ მენაბდე**

# ალანია ლაზარეთი აღარ არის


ბადრი კეთილაძის ფოტო
მამუკა წერეთელი

**ბოლო** დროს ვლადიკავკაზის „ალანიას" ფეხბურთელები ტრავმებმა გააწამეს. ამის გამო რუსულმა პრესამ ჩრდილოეთ ოსეთის საფეხბურთო კლუბი ლაზარეთად მონათლა. ამაში თავიანთი არცთუ მოკრძალებული წვლილი ქართველ ფეხბურთელებსაც მიუძღვით. დაშავებულთა შორის საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი მცველი — დავით ჭიჭველიშვილი და მამუკა წერეთელიც მოიხსენიებოდნენ. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამჟამად წერეთელს აქვს. რამდენიმე დღის წინ მან მუხლის მსუბუქი ოპერაცია გაიკეთა და ცოტა ხანს კიდევ მოუწევს მკურნალობა. ალანიელთა პრესცენტრის ცნობით, ქართველი ფორვარდი ვარჯიშს მომავალ კვირას შეუდგება, ამიტომ სამარის „კრილია სოვეტოვთან" დღევანდელი მატჩის გამოტოვება მოუწევს. სამაგიეროდ, გუნდს დავით ჭიჭველიშვილი და ოლეგ კორნიენკო დაუბრუნდებიან, რომლებმაც მცირე ტრავმების გამო წინა ტურში მოსკოვის „დინამოსთან" ვერ ითამაშეს. დღეს მინდორზე გასვლას ერთ დროს თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი ბახვა თედეევიც შეძლებს.

ასე რომ, „ალანიას" მეტსახელი — „ლაზარეთი" აღარ შეეფერება. ამჟამად ტრავმირებული მხოლოდ მამუკა წერეთელია და თუ ვლადიკავკაზელ მედიკოსებს ვერწმუნებით, მასაც სულ მალე ვიხილავთ მწვანე მინდორზე.

**ვანო ოქროპირიძე**

# თექვსმეტწლამდელები თვრამეტნი დარჩებიან



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

რევაზ გაგუა

*ოქტომბერში ქართველ თექვსმეტწლამდელებს დიდი გამოცდა ელით. თბილისი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ქვეჯგუფის მატჩებს უმასპინძლებს. ქართველ თექვსმეტწლამდელებთან ერთად ამ ქვეჯგუფში ბერძნები, ხორვატები და ბულგარელები გამოვლენ. რევაზ გაგუას, თექვსეტწლამდელთა მთავარ მწვრთნელს, საფიქრალი არ აკლია, რადგან ნაკრებს შინ, ქართველი გულშემატკივრის თანდასწრებით მოუწევს თამაში და მწვრთნელიც უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგას, შინ შერცხვენა ხომ ორმაგად სამწუხაროა.*

*მსგავსი ტურნირების წინ ნაკრების სრულფასოვანი შეკრებები რომ აუცილებელია, ამის მშვენიერი მაგალითი თვრამეტწლამდელებმაც მოგვცეს. კარგად იცით, თუ რა დღე დაადგათ უელსში, ოთხდღიან შეკრებადაჯერებულ „კოპალას ბიჭებს".*

*13 სექტემბრიდან თექვსმეტწლამდელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ყვავილნარის პანსიონატ „ლაკოში" ემზადებიან. რევაზ გაგუასაც იქაური ამბების გასაგებად ტელეფონით დავუკავშირდით.*

— მშვენიერ პირობებში ვართ. მადლობის მეტი რა გვეთქმის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის, გვერდში გვიდგას პანსიონატ „ლაკოს" დირექტორი კორნერი კუკულაძეც. აქ სრულფასოვანი მომზადებისთვის ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი.

**— ვარჯიშებს სად ატარებთ?**

— გრიგოლეთის ბაზა გადმოგვცეს დროებით, აბა, უკეთეს მოედანს ჩვენში სად ნახავთ... არა, მართლაც კარგი პირობები გვაქვს. ძირითადად ორჯერად ვარჯიშებს ვატარებთ. ნაკრებში 25 ფეხბურთელი მყავს გამოძახებული. თითოეული მათგანი კარგ ფორმაშია, სრული დატვირთვით ემზადებიან, ეგ არის, გარკვეული არჩევანის გაკეთება მომიწევს.

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ შესარჩევი ეტაპისთვის თვრამეტკაციანი განაცხადი უნდა წარვადგინოთ უეფაში, ესე იგი, შვიდ ფეხბურთელს უნდა შეველიო, არადა, ისეთი ბიჭები არიან... გამიჭირდება მათ შორის არჩევანის გაკეთება, თუმც სხვა გზა როცა არ არის...

**— ვიცით, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვის დაკომპლექტებას 35-ე საფეხბურთო სკოლისა და „ოლიმპიკის" ბაზაზე აპირებდით, რამე ხომ არ შეიცვალა ამ მხრივ?**

— ძირითადი ბირთვი მართლაც ამ საფეხბურთო სკოლებიდან იქნება. მათ გარდა ნაკრებში „დინამოდან", „ვაკე 91"-დან და ბათუმიდანაც გვეყოლება ფეხბურთელები, ნიჭიერი ბიჭები არიან, მჯერა, არ შეგვარცხვენენ.

**— ბატონო რევაზ, შეკრების დროს ალბათ, საკონტროლო შეხვედრებსაც გამართავდით...**

— ოთხი მატჩი ვითამაშეთ, ორჯერ „ბათუმი 2"-ს შევხვდით. პირველი მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა, მეორეში კი 3:2 ვიმარჯვეთ. ვეთამაშეთ ქობულეთის მეორე გუნდსაც და დიდი ანგარიშით ვძლიეთ — 5:0. ორი დღის წინ კი ოზურგეთის „მერცხალი" დავამარცხეთ 3:0.

**— ამ შეხვედრებში, ბუნებრივია, ნაკრების ავ-კარგიც გამოჩნდებოდა.**

— ძირითადი პრობლემები დაცვის ხაზში გვაქვს. სხვა მხრივ კმაყოფილი ვარ. დაცვაში ნაკლის გამოსასწორებლად, ბუნებრივია, კვლავ გაგრძელდება მუშაობა. არ არის გამორიცხული, ერთი-ორი ფეხბურთელი გავსინჯოთ ამ პოზიციაზე.

**— თბილისში როდის დაბრუნდებით?**

— 26 სექტემბერს.

**— ბატონო რევაზ, კარგია, რომ ნაყოფიერი ორკვირიანი შეკრება გამოგდით, მაგრამ როგორ ფიქრობთ, შესარჩევ ეტაპზე წარმატების მოსაპოვებლად ეს საკმარისი იქნება? თანაც ოც ოქტომბრამდე ჯერაც ბევრი დროა დარჩენილი...**

— მართალი ბრძანდებით, რა თქმა უნდა, ყოველივე ზღვაში წვეთია, თუ ამ ეტაპზე გავჩერდით, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის მჯერა, დაგვპირდნენ, რომ ყველანაირად მხარში დაგვიდგებიან. იმედი მაქვს, ასეც იქნება.



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

**1997 წელი. საქართველო — სომხეთი.**
**ჩვენებურთა ერთ-ერთი ბოლო საერთაშორისო მატჩი თბილისში**

**— თუ ასეა, ალბათ, სამომავლო გეგმებიც გექნებათ ჩამოყალიბებული...**

— თბილისში სამ დღეს გავჩერდებით, შემდეგ კი, ალბათ, ისევ ყვავილნარში დავბრუნდებით, ან სადმე სხვაგან გავივლით შეკრებას. ფედერაციაში დამამშვიდეს, რომ ამ მხრივ პრობლემები არ გვექნება, ვნახოთ. ამ ეტაპზე გაჩერება ნამდვილად არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაშრომი წყალში ჩაგვეყრება, წინ ხომ ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირი გველის.

**— იმედია, შესარჩევი ეტაპი ქართველ თექვსმეტწლამდელებისთვის წარმატებული გამოდგება...**

— ამის რომ არ მჯეროდეს, ბიჭებთან რა გამაჩერებდა. ეს გუნდი უთუოდ იტყვის თავის სიტყვას.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ჩემპიონთა ლიგის ტორტი

## დავით პეტრიაშვილმა პირველად იდირექტორა

*სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის G ჯგუფის მეორე ტურის მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა" ჩეხურ „სპარტას" უმასპინძლა. ამ შეხვედრის ტელერეპორტაჟის დასაწყისში ეკრანზე რამდენჯერმე გამოჩნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომელი დავით პეტრიაშვილი. იგი ჯერ მსაჯებს ეთათბირებოდა, შემდეგ კი მათთან ერთად გუნდებსაც გამოუძღვა გასახდელიდან, მას მატჩის ორგანიზაცია ევალებოდა.*

*მოგეხსენებათ, დავით პეტრიაშვილი დაახლოებით ერთი თვის წინ ჩემპიონთა ლიგის დირექტორად დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება თავად უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა მიიღო. პეტრიაშვილი ამის შემდეგ შვეიცარიულ ქალაქ ნიონში გაემგზავრა, სადაც ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა თათბირში მიიღო მონაწილეობა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ქართველ დირექტორთან მცირე ინტერვიუ მისი დაბრუნების შემდეგ შემოგთავაზეთ. მაშინ პეტრიაშვილმა ისიც გვითხრა, წინასწარ მიჭირს საუბარი, 21 სექტემბერს ყველაფერს ჩემი თვალით ვნახავ და მერე კიდევ გესაუბრებითო. მან პირობა შეასრულა, მცირე ხანს ჩვენთვისაც მოიცალა და მოსკოვური ამბები გაიხსენა.*



[illegible] ფოტო

დავით პეტრიაშვილი

**— თქვენი მოსკოვში ყოფნის მიზანი „სპარტაკი" — „სპარტას" შეხვედრის ორგანიზაცია იყო, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნათ მუშაობისას?**

— პატარ-პატარა სიძნელეები შეგვხვდა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა.

ჩვენი უმთავრესი საზრუნავი უსაფრთხოება გახლდათ. მოსკოვში ბოლოდროინდელმა ტერორისტულმა აქტებმა სიტუაცია არია. ბევრს ეშინოდა, თამაშის დროს რაიმე არ მომხდარიყო, ამიტომ მობილიზებულნი იყვნენ უშიშროების ძალები, უსაფრთხოება გაათმაგებული იყო. საბოლოოდ მატჩმა მშვიდობიანად ჩაიარა. შეიძლება ითქვას, შეხვედრა თითქმის იდეალურად ჩატარდა.

**— რატომ თითქმის?**

— მცირე დარღვევები მაინც იყო, თუმცა ისინი უმნიშვნელოდ ითვლება.

**— კერძოდ რა დაირღვა?**

— ბილეთები და აფიშებიც კი უეფას მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ჩემპიონთა ლიგას რვა ოფიციალური სპონსორი ჰყავს. ბილეთებზე და აფიშებზეც მხოლოდ ისინი უნდა ალნიშნულიყო. აფიშაზე კი „სპარტაკის" ტექნიკური სპონსორის, სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა „ადიდასის" რეკლამაც იყო გამოსახული. ამის შესახებ „სპარტაკის" ხელმძღვანელობას მივუთითე და მათაც ყველაფერი გამოასწორეს. კიდევ ერთი პრობლემა უცხოური ტელეკომპანიის აპარატურის რუსეთში შეზიდვასთან დაკავშირებით წარმოიშვა. თუმცა ყველაფერი მალე მოგვარდა.

**— თამაშის შემდეგ ხომ არ გამოგითქვამთ შენიშვნები?**

— არა, ყველაფერი კარგად იყო. რუსული კლუბის ხელმძღვანელობა მსაჯობით აღშფოთებული კი დარჩა, მაგრამ ეგ ჩემი საქმე არ არის. მსაჯობა მატჩის დელეგატს ეხება. ისე, არც გულშემატკივრების მხრიდან ჰქონია ექსცესს ადგილი.

**— ესე იგი თამაშის ორგანიზაციით კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან. ეს იმის დამსახურებაცაა, რომ თეორიულად კარგად მოვემზადეთ, ვიცოდით, რა შემთხვევაში, როგორ მოვქცეულიყავით. მთლიანად ჩემი გუნდის მუშაობითაც უზომოდ კმაყოფილი ვარ. დავალება ყველამ კარგად შეასრულა. არადა, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ზოგს რეკლამა ევალებოდა, ზოგს რა და ზოგს რა.

**— მომავალი საშინაო მატჩი „სპარტაკს" ფრანგულ „ბორდოსთან" 20 ოქტომბერს უწევს...**

— მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გამოცდილება მივიღეთ, ამ თამაშის ორგანიზაცია უფრო ძნელი იქნება, რადგან მისდამი ინტერესი გაცილებით დიდია. „სპარტასთან" მატჩი უცხოური ტელეკომპანიებიდან მხოლოდ ერთმა ჩეხურმა არხმა გადასცა. ამ შემთხვევაში კი მსურველი გაცილებით მეტია.

**— ალბათ, ძალიან დატვირთული იყავით?**

— ვერც კი წარმოვიდგენდი, ისეთი შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა. წუთით არ შეიძლება მოდუნება. მართალია, ჩემი გუნდის ყველა წევრს თავისი სამუშაო ჰქონდა, მაგრამ ხელმძღვანელი მე ვიყავი, ყველაფერს მითანხმებდნენ და ფაქტობრივად თითოეული დეტალი ჩემი გადასაწყვეტი იყო.

**— განახლებული „ლუჟნიკების" სტადიონი როგორ მოგეწონათ?**

— მართლაც ჩინებული სტადიონია, ყველაფრით რომ შეეფერება საერთაშორისო სტანდარტებს, ისეთი. აქვე დავამატებ, რომ მშვენიერი ურთიერთობები დავამყარეთ „ლუჟნიკების" ხელმძღვანელობასთან. საერთოდ, რუსებმა კარგად გვიმასპინძლეს.

**— საინტერესო არაფერი შეგემთხვათ?**

— საპატიო სტუმართა (V.I.P.) ლოჟის უკან საგანგებოდ მოწვეული სტუმრებისთვის რესტორანი იყო. მატჩის შემდეგ იქ უშველებელი ტორტი შემოიტანეს, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ემბლემის ფორმა ჰქონდა, მასზე კი თვით ემბლემა იყო გამოსახული. ძალიან გამიკვირდა, თუმცა შემდეგ გავიგე, რომ თურმე ყველა თამაშის შემდეგ, მიუხედავად შედეგისა, საპატიო სტუმრებს ასეთი ტორტით უმასპინძლდებიან. ასეთი ტრადიცია ყოფილა, ამ ნამცხვარს კი ჩემპიონთა ლიგის ტორტი ჰქვია. მე, როგორც ლიგის დირექტორს, ტორტის გაჭრის საპატიო მისია მერგო.

**— გემო თუ მოგეწონათ?**

— ისეთი დაღლილი ვიყავი, გემო კარგად ვერც ჩავატანე.

**ვანო ოქროპირიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი

6 ტური ეროვნული

# ფეხბურთისათვის გადადებული

მეთერთმეტე ეროვნულის მეექვსე ტურის ერთბაშად სამი მატჩი გადაიდო. გადაიდო ისევ ფეხბურთის გამო. გადაიდო, რადგან კოპალეიშვილის მორიგ თვრამეტწლამდელებს უელსში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში უნდა ეთამაშათ. იქ კი „თბილისმა", „ვიტ ჯორჯიამ", თსუ-მ თავიანთი ორი ან მეტი ფეხბურთელი მიავლინეს და გამოიყენეს სფფ-ს მიერ მინიჭებული უფლება, ამგვარ შემთხვევებში არ გამართონ მატჩი.

აქედან გამომდინარე, 25 და 26 სექტემბერს საქართველოში რვის მაგიერ ხუთი თამაში გაიმართება და შესაბამისად, უკვე სხვანაირად აირევა თექვსმეტგუნდა ორზონიანი.

როგორც მოვლენები გვიჩვენებს, არეულობა და სატურნირო ალიაქოთი ძალიან მალე დამთავრდება. გაზეთის გამოსვლის მომენტისთვის მკითხველს „კოპალას ბიჭების" მორიგი მატჩის ანგარიშიც ეცოდინება. თუმცა, იტალიელებთან შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ჩვენი ახალგაზრდები უკვე დაემშვიდობნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის იმედს და შესაბამისად, ქართული გუნდების მიერ მატჩების საკუთარი სურვილით გადადებაც ამით დასრულდება. ბიჭები კლუბებს დაუბრუნდებიან და შეხვედრებიც სფფ-ს გარფიკში ჩაჯდება.

საერთოდ, მეექვსე ტურში გუნდები იმგვარად დაწყვილდნენ, ტურის ცენტრალური წყვილის ამორჩევა ფრიად საჭოჭმანო რომ გახლავთ. სხვაზე საინტერესო მატჩს ისევ პრინციპულობით თუ გამოვყოფთ და მოდით, „სიონი" — „ბათუმის" შეხვედრა ვაღიაროთ ხუთთაგან საუკეთესოდ. მით უმეტეს, ბოლნისელები ზღვისპირელთა დამარცხებით უკვე წინა ტურიდანვე იმუქრებიან.

„სიონი" თავის მინდორზე ყოველთვის ანგარიშგასაწევი და უხერხული მეტოქეა. მუქარა მუქარაა და მეტიც არაფერი, მაგრამ ბოლნისელთა მუქარას წლეულს სხვა საფუძველი აქვს — ისინი მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ და თანაც შინ „ბათუმთან" თამაში არასოდეს უჭირდათ. მიუხედავად ამისა, მეტოქეთა შანსებს მაინც თანაბრად შევაფასებთ, რადგან „ბათუმმა" უკვე დაცვა ისწავლა იტალიურად და გოლი თუ ვერ გააქვს, არც უშვებს.

ისე, ინტრიგა სხვა მხრივაც დაჰყვება ამ თამაშს ბათუმელები ერთადერთნი არიან „ა" ზონაში, რომელთაც ჯერ არ წაუგიათ.

„სამგურალი" — „დინამო". უეჭველი ფავორიტი მარადი ჩემპიონია. ამასთანავე, „დინამო", ბოლო მატჩებია, კრიზისიდან გამომსვლელს დაემსგავსა და არა გვგონია, იმერეთში რაიმე პრობლემები შეექმნას. ისე, „სამგურალმაც" გამოაჩინა კლანჭი. ორი ტურია, შინ ხომ იგებს, არც გასვლაზე წააგო ბათუმში და ეს სულაც არ გახლავთ ხუმრობა საქმე. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ოთხი წელიწადია, მარად ჩემპიონს წყალტუბოში გოლი რაა, ისიც არ გაუშვია, სულ მშრალად იგებს და ახლა რა უნდა დაემართოს ნეტავი?

„ხობი" — „ტორპედო". ცოტა მეგულება კაცი, ვინც ამ შეხვედრაში ხობელთა მოგებაზე აქცენტს გააკეთებს. „ტორპედოს" წლეულს მეტად სერიოზული მიზნები აქვს დასახული, ამბიციებიც უსაშველოდ დიდი გაუხდა და ასეთი გუნდი „ხობს" რაიმე შანსს მისცემს? ის კია მართალი, რომ ხობელებს ჯერ შინ არ წაუგიათ, მაგრამ... „მერანი" და თსუ „ტორპედოს" შეედრებიან? ქუთაისელებმა სოლიდურ შემადგენლობას მოუყარეს თავი, ფეხბურთსაც სხვა ქართულ გუნდებთან შედარებით ხარისხიანს თამაშობენ და მათი ქომაგებიც აქამდე არნახულად იქადნებიან — ჩემპიონობის ღირსი გუნდი გვყავსო. ვნახოთ. ხობში თამაში „ტორპედოს" ჩემპიონობას ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ათენის აეკ-თან მატჩის წინ სარეპეტიციოდ ნამდვილად გამოდგება.

„გორდა" — „მერანი". ფოლადზე რუსთაველები მეტად უხერხულ მეტოქეს ხვდებიან. სამი წელია, ისინი ტრანსპორტელებს შინ ვერ უგებენ. მაგრამ წლეულს სიტუაცია მათდა სასიკეთოდაა შეცვლილი და ამიტომაც მასპინძლები უფრო იმსახურებენ მოგებას. „მერანის" მოტივაციას კი ის აძლიერებს, რომ აუტსაიდერია, მოგებაც არა აქვს და ეგებ სწორედ რუსთავში გაისროლოს ტრანსპორტელთა ჯერაც ცარიელმა თოფმა.

„დილა" — „იბერია". გორელებმა ესესაა, მწვრთნელი გამოიცვალეს და ივანე თაყამეც, თქმა არ უნდა, თავისი სამწვრთნელო რეპუტაციის დამტკიცებას შეეცდება. მწვრთნელი თავის სიტყვას კი იტყვის, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გორელებთან გორში მოგება „იბერიაზე" გაცილებით ძლიერ გუნდებს გადაქცევიათ დიდ პრობლემად და ვფიქრობთ, სამტრედიელებსაც მეტად გაუჭირდებათ. ამ შეხვედრის შედეგზე კიდევ ერთი რამაა დამოკიდებული. გორში წარმატებული თამაში შეიძლება ფრუიძის და კამპანიის სანუკვარ ოთხეულში მოხვედრის საწინდარიც გახდეს. ისე, „იბერიას" პირველი წრის დარჩენილ მეშვიდე მატჩში გამარჯვების მეტი შანსი აქვს („ხობთან" და შინ), ვიდრე „დილას" („მერანთან" და გასვლაზე), ამიტომაც სავარაუდოა, რომ გორელები უეჭველად გამარჯვებისთვის ითამაშებენ...

ეს გასამართ მატჩებზე და ახლა იმათზეც, რომლებიც უნდა გამართულიყო და არ გაიმართა. ამ შეხვედრებზე ერთი-ორი მიმოხილვის დასაწყისში უკვე ვთქვით. მაგრამ ორიოდ სიტყვასაც დავამატებთ — გადადებული მატჩებიდან ორი — „არსენალი" — „ვიტ ჯორჯია" და „კოლხეთი" — თსუ 28 და 29 სექტემბერს ჩატარდება, ხოლო „ლოკომოტივი" — „თბილისი" მოგვიანებით (როდესაც სფფ გადაწყვეტს).

მაინც სათქმელია და რახან თამაშები გადაიდო, მკითხველს ჩვენი პროგნოზიც არ აწყენს. ჩვენ ჩვენი ვთქვათ და დანარჩენი საფეხბურთო ფორტუნამ განსაზღვროს.

„არსენალი" — „ვიტ ჯორჯია". მატჩი ფრისკენ კი იხრება, მაგრამ ბოლო ტურებში შერცხვენილი ვეტერინარები იმიჯის აღდეგნას შეეცდებიან და მოგებისთვის ითამაშებენ. იმავეს ეცდება „არსენალიც".

„ლოკომოტივი" — „თბილისი". ვეტერინარებისა არ იყოს, რკინიგზელებიც ხელს გამოიღებენ. წაგებით და გაშვებული გოლებით „ლოკომოტივი" ველარავის გააკვირვებს და მოგების მეტი რა დარჩენია. ისე კი, „თბილისი" რა ჩიტიცაა, მეთერთმეტე ეროვნულის ლიდერებმა გამოსცადეს თავის დროზე. ერთი სიტყვით, ფრიად საინტერესო შეხვედრაა.

დაბოლოს, „კოლხეთი" — თსუ. ფოთელებმა უნდა მოიგონ. თუ არა და მათი ისედაც შელახული პრესტიჟი უარესად შეილახება. თან მწვრთნელ ტყებუჩავას არაერთხელ დაემუქრა თანამდებობის დაკარგვის საფრთხე და ვის უნდა მოუგოს ჯუნგლიმ (ტყებუჩავამ) და კამპანიამ, თუ არა ახალგაზრდა თსუ-ს? თსუ-ს, რომელსაც მომავალი წინა აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ოთხეულში მოსახვედრად დიდი ბრძოლა (იღბალიც) დასჭირდება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



„ბათუმის" იტალიელი თავკაცი ჯანი კარნევალე (მარჯვნივ) თავის გუნდს პირველად წარუძღვება ბოლნისში „სიონის" წინააღმდეგ

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 4 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 3 - ალექსიძე | დინამო |
| თოლორდავა | მერანი |
| 2 - ლ. ალადაშვილი | გორდა |
| აშვეთია | დინამო |
| გოგიაშვილი | ტორპედო |
| იმედაძე | ტორპედო |
| კიტეიშვილი | გორდა |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| გ. მიქაძე | თბილისი |
| ლომიძე | დილა |
| რუსია | ლოკომოტივი |
| სულთანიშვილი | დილა |
| ტრაპაიძე | კოლხეთი |
| ღუღუნავა | თსუ |
| ვ. ჩიტაია | ხობი |

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 25 სექტემბერი. 17 საათი

## სიონი — ბათუმი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ხობი. „კოლხეთი". 25 სექტემბერი. 17 საათი

## ხობი — ტორპედო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ლ. ფანიაშვილი, ზ.მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

რუსთავი. „ფოლადი". 25 სექტემბერი. 17 საათი

## გორდა — მერანი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. ურუშაძე (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

გორი. „ცენტრალური". 25 სექტემბერი. 17 საათი

## დილა — იბერია

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

წყალტუბო. „26 მაისი". 26 სექტემბერი. 17 საათი.

## სამგურალი — დინამო

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ანიაშვილი (გორი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი. „ისანი". 28 სექტემბერი. 17 საათი

## არსენალი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), მ. ელიკაშვილი; ნ. კილაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის დელეგატი: მ. მიმინოშვილი

ფოთი. „ფაზისი". 29 სექტემბერი. 17 საათი

## კოლხეთი — თსუ

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 |
| 3 | სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:3 | -1 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 |
| 4 | სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 5 | ბათუმი | 5 | 1 | 4 | 0 | 2:1 | 1 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 6 | თბილისი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 0 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 7 | არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 8 | ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 | კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 3 | დილა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 4 | გორდა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 0 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 | ხობი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 6 | იბერია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 7 | თსუ | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 8 | მერანი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |

# კაჭკაჭები ამბიციური ლიდსის წინააღმდეგ

## ინგლისი

მას შემდეგ, რაც „ნიუკასლი“ მთავარმა მწვრთნელმა რუდ გულიტმა დატოვა, ახალი თავკაცი — ბობი რობსონი გუნდს რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს ათამაშებს. შაბათს „კაჭკაჭები“ ლიდსს სტუმრობენ და შეეცდებიან, ორმატჩიანი წაუგებელი სერია ღირსეულად განაგრძონ. მაგრამ, რა თქმა უნდა, „ლიდსიც“ გაცილებით განსხვავებული ამბიციების გუნდია, ვიდრე სოფიის ცსკა და „შეფილდ უენსდი“. ბოლო ტურში მათ „მიდლსბროს“ უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს, ცხრილში კი მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

„არსენალმა“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის გასულ ტურში შვედური აიკის წინააღმდეგ მატჩში შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, შაბათს შეეცდება, „უოტფორდს“ დაუმტკიცოს თავისი მაღალი სათამაშო კლასი. დავორ შუკერი რა ტიერი ანრი შეეცდებიან, სიქა გააცალონ მეტოქის მცველებს. გამოჯანმრთელდა ინგლისის ნაკრების გოლკიპერი დევიდ სიმენიც, მაგრამ მას ახლა საკმაოდ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა ალექს მანინგერის სახით. „უოტფორდმა“ გასულ ტურში სენსაცია მოახდინა, მან ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი, ლონდონის „ჩელსი“ დაამარცხა. ვნახოთ, შესძლებს თუ არა პრემიერლიგის ახალწვეული მეორე ფავორიტთან ანალოგიური შედეგის გამეორებას.

„ქოვენთრიმ“ განვლილ რვა ტურში მხოლოდ ერთი მატჩის მოგება შესძლო და ჯერჯერობით მეჩვიდმეტე ადგილზეა. ხოლო, მისმა ღლევანდელმა მეტოქემ „ვესტ ჰემმა“ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია წინა ტურში ლივერპულში შეწყვიტა ადგილობრივ „ევერტონთან“. სტატისტიკურად „ვესტ ჰემს“ ქოვენთრიში მხოლოდ ერთხელ წაუგია.

„დერბიმ“ უკანასკნელ ტურში შინ მესამე მარცხი იწვნია — პრემიერლიგის ახალწვეულ „სანდერლენდთან“ გამანადგურებელი ანგარიშით — 0:5 წააგო. ახლა კი შეეცდება რეპუტაცია „ბრედფორდთან“ გამარჯვებით აიმაღლოს, გუნდთან, რომელმაც მიმდინარე სეზონში მხოლოდ 3 ბურთის გატანა შესძლო და ცხრილში მე-18 ადგილზეა.



კვლავ გაიხარებს ბობი რობსონი?

„ლესტერმა“ თავისი მებრძოლი სული წინა ტურში „ლივერპულის“ წინააღმდეგ მატჩში გამოაჩინა, როცა შეხვედრა 2:2 დასრულდა, ხოლო შემდეგ ლიგის თასის გათამაშებაში „კრისტალ პალასს“ მოუგო 4:2. მისი შაბათის მეწყვილე „ასტონ ვილა“ კი წლეულს საკმაოდ კარგად გამოიყურება. გუნდი მეოთხე ადგილზეა, ხოლო წინა ტურში „ბრედფორდს“ მოუგო.

„მანჩესტერს“, რომელსაც ორ ფრონტზე უხდება ბრძოლა და მიუხედავად რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელის ტრავმისა, ორივეგან ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებს, დღეს „საუთჰემპტონთან“ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი, უელსელი რაიან გიგზი დააკლდება, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ ტურში „შტურმთან“ ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ 6 კვირა დასვენება მოუწევს. „საუთჰემპტონს“ კი, რომელმაც ბოლო ოთხ ტურში ორი მოიგო და ორიც წააგო, დღეს, ალბათ, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დააკლდება — ლუის ბო-მორტე, კევინ დევისი და ლატვიელი მარიან პახარსი.

მადრიდის „ატლეტიკოდან“ „მიდლსბროში“ დაბრუნებული ჟუნინიო თავის პირველ მატჩს გამართავს „ჩელსის“ წინააღმდეგ. ხოლო რამდენიმე არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ „ჩელსის“ თავკაც ჯანლუკა ვიალის თავსატეხი გასჩენია. ალბათ, სასტარტო შემადგენლობაში იქნება კრის სატონი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ჰერტას“ წინააღმდეგ შეცვლაზე შევიდა.

„სანდერლენდმა“ ბოლო ხანს ძალიან მოუმატა თამაშს. ჯერ იყო და სტუმრად „დერბი“ დაიბრიყვა 0:5, ხოლო შემდეგ ამავე ანგარიშით ლიგის თასზე „უოლსოლს“ სძლია. მის მეტოქე „შეფილდს“ მართლაც რომ შავი დღე დაუდგა. ბოლო ტურში იგი „ნიუკასლმა“ გააცამტვერა 8:0. კლუბში კი დიდი არეულობებია იტალიელ ლეგიონერ ბენიტო კარბონესთან დაკავშირებით, რომელმაც ბოლო მატჩი ლიგის თასზე გამოტოვა.

„უიმბლდონმა“ დიდი სენსაცია მოახდინა „ოლდ ტრეფორდზე“ — „მანჩესტერს“ 1:1 ეთამაშა. „ტოტენჰემს“ კი ჩემპიონატის 7 ტურში 13 ქულა აქვს და ცხრილში მე-9 ადგილზეა. „ჰოტსფურს“ კვლავ არ ეყოლება წამყვანი მცველი სოლ კემბელი. ეს გუნდები კვირას შეხვდებიან ერთმანეთს.

ლივერპულური დერბი გაიმართება ორშაბათს „ლივერპულსა“ და „ევერტონს“ შორის. ტრავმის შემდეგ მომჯობინდა ინგლისელთა მთავარი იმედი მაიკლ ოუენი და თამაშსაც დღითი დღე უმატებს.

„ევერტონმა“ ჩემპიონატის წინა ტურში „ვესტ ჰემს“ სძლია და ახლა ცხრილში მე-7 ადგილზეა, ხოლო „ლივერპული“ მისთვის უჩვეულო მეთორმეტეზე.

## მერკოსურის თასი

### A ჯგუფი

**რივერ პლეიტი 0:3 კრუზეირო**

0:1 ჟოვანი (18), 0:2 რამოსი (83პ), 0:3 გუსტავო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო (ბრაზილია) | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| პალმეირასი (ბრაზილია) | 5 | 3 | 2 | 0 | 19:7 | 11 |
| რივერ პლეიტი (არგენტინა) | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| რასინგი (არგენტინა) | 5 | 0 | 0 | 5 | 2:21 | 0 |

### B ჯგუფი

**ველეს სარსფილდი 1:1 ინდეპენდიენტე**

1:0 კამპსი (84), 1:1 კალდერონი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო (ბრაზილია) | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| კორინთიანსი (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| ინდეპენდიენტე (არგენტინა) | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | 3 |

### C ჯგუფი

**სან ლორენსო 1:0 ბოკა ხუნიორსი**

1:0 როდრიგესი (30)

**სან პაულუ 2:0 უნივერსიდად კათოლიკა**

1:0, 2:0 ფრანკა (24, 83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ (ბრაზილია) | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 9 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) | 5 | 1 | 0 | 4 | 1:10 | 3 |

### E ჯგუფი

**ფლამენგო 2:2 კოლო კოლო**

1:0 კაიო (19), 2:0 ანტონიო (38), 2:1 მუნიოსი (79), 2:2 ვერგარა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია (პარაგვაი) | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 5 | 2 | 2 | 1 | 5:6 | 8 |
| ფლამენგო (ბრაზილია) | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |

D ჯგუფში, სადაც ურუგვაული „პენიაროლი“ და „ნასიონალი“, აგრეთვე ბრაზილიური „ვასკუ და გამა“ და პარაგვაული „ჩერო პორტენო“ თამაშობენ, მატჩები არ ჩატარებულა.

გუშინ A ჯგუფის ერთი მატჩი გაიმართა. ბუენოს აირესში „რივერ პლეიტმა“ ბრაზილიურ „კრუზეიროს“ უმასპინძლა და 0:3 წააგო. ამ თამაშს ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, გამარჯვების შემთხვევაში ბრაზილიური კლუბი ვადამდე ინაღდებდა მეოთხედფინალის საგზურს. მეორეც, სამხრეთ ამერიკის 1998 წლის „რეკოპას“ (ჩვენებურად თასთა თასის) მეორე ფინალურ მატჩს წარმოადგენდა. ამ ტურნირში ერთმანეთს სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესისა და სუპერთასის მფლობელები ხვდებიან. 1997 წელს „რივერმა“ სუპერთასი მოიგო, ხოლო „კრუზეირომ“ — ლიბერტადორესისა. ბრაზილიელებს პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდათ (2:0), ასე რომ, საერთო ჯამში 5:0 გაიმარჯვეს, თანაც მერკოსურის თასის მეოთხედფინალში ვადამდე დაიბევეს ადგილი.

„რივერმა“ თამაში ცხრა ფეხბურთელით დაასრულა, მსაჯმა მინდვრიდან ლეონელ გონსედო და რობერტო ტროტა გააძევა. ჯგუფში „კრუზეიროს“ და „პალმეირასს“ არგენტინული გუნდები „რივერ პლეიტი“ და „რასინგი“ ველარ დაეწევიან, მაგრამ მეოთხედფინალში ხუთი ჯგუფის გამარჯვებულებთან ერთად მხოლოდ სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი მოხვდება. ამიტომ, თუ „კრუზეიროს“ თავი ქუდში აქვს, „პალმეირასის“ ბედი ბოლო ტურში გადაწყდება.

B ჯგუფში ფრედ 1:1 დამთავრდა არგენტინული გუნდების „ველეს სარსფილდისა“ და „ინტეპენდიენტეს“ შეხვედრა, რომელიც ჯერ კიდევ 1 სექტემბერს დაიწყო... მაშინ პირველი ტაიმის მიწურულს „ველესის“ მეკარე ჩილავერტს ტრიბუნიდან ნასროლი მაშხალა მოხვდა და თამაში შეწყდა. მეორე ტაიმი მხოლოდ ახლაღა ითამაშეს.



რივერ პლეიტი — კრუზეირო 0:3. ბრაზილიელი დონიზეტე არგენტინელ ალვარესს (№16) გაურბის

# მორიგი დაძაბულობა და ფაქტები

## იტალია

„ლაციოს“ არგენტინელ ფეხბურთელებს, ხუან ვერონსა და ნესტორ სენსინის კვირა საღამოს მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ. აქ მხოლოდ ქულების მოპოვებას — რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია — არ ვგულისხმობთ, საუბარი პირონულ ამოცანაზე გვაქვს: რომაული კლუბი ხვალ პარმაში, „ტარდინის“ სტადიონზე თამაშობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერონი და სენსინი იმ მაყურებლის წინაშე წარსდგებიან, რომელიც გასულ სეზონში თავისად თვლიდა და მათთან ერთად ზეიმობდა უეფასა და იტალიის თასების მოპოვებას.

„პარმას“ კი, მოგეხსენებათ, რთული დროება უდგას. გუნდს ახალ სეზონში „პერუჯასა“ და „ბოლონიასთან“ 1:1 აქვს ნათამაშევი, „ინტერთან“ კი 1:5 სამარცხვინოდ წაგებული. საერთაშორისო სარბიელზე გუნდმა ჯერ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე იწვნია მარცხი „გლაზგო რეინჯერსისგან“, ხოლო შემდეგ, უეფას თასზე გადასულმა უკრაინულ „კრივბასთან“ პირველი თამაში შინ 3:2 ძლივს მოიგო.

პარმელთა დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ ლილიან ტურამი და ფაბიო კანავარო თამაშობენ, უსუსურია, ფავორიტად მიჩნეული გუნდი ბოლოდან მესამე ადგილზეა, ხოლო მწვრთნელი, ალბერტო მალესანი შესაძლოა უახლოეს დღეებში დაითხოვონ.

ერთ-ერთი, რაც უეფას თასის მფლობელმა შეიძლება „ლაციოსთან“ მატჩის წინ აქტივში ჩაიწეროს, ნახევარმცველის, ალენ ბოგოსიანის გამოჯანმრთელებაა.

ხოლო „ლაციოს“ არაფერი უჭირს, პირველ ტურში „კალიარის“ 2:1 მოუგო, მეორეში „ბარიში“ 0:0 ითამაშა, მესამეში კი „ტორინოს“ აჯობა 3:0. გარდა ამისა, რომაელები ჩემპიონთა ლიგაშიც ვაჟკაცურად იბრძვიან, ჯერ „ლევერკუზენში“, „ბაიერთან“ არ წააგეს — 1:1, ხოლო შემდეგ, შინ, კიევის „დინამოს“ 2:1 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ კიეველებთან შეხვედრა „ლაციოსთვის“ გახლდათ ზედიზედ მეთერთმეტე ევროთასებზე რომ არ წააგო.

მოსალოდნელია, რომ პარმაში რომაელთა თავდასხმა სიმონე ინძაგისა და მარსელო სალასის წყვილისგან იქნება შექმნილი.

შაბათს გაიმართება „ლეჩესა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრა. ტურინელებს ამ სეზონში ჯერ მარცხი არ უწვნევიათ, ხოლო ლეჩეში ისტორიაში ერთადერთხელ, 10 წლის წინ დამარცხებულან. მოკლედ, რაიმე განსაკუთრებული თუ არ მოხდა, მათ თავი ქუდში აქვს. ამბობენ, რომ ამ შეხვედრაში ნახევარმცველ ალესიო ტაკინარდის ადგილი გარანტირებული აქვს — საქმე ისაა, რომ ჩინებულად ათამაშებულ ტაკინარდის ამ ბოლო დროს „სკუადრა აძურაში“ დაბრუნებაც კი უქადის.

ჩემპიონი, „მილანიც“ „ბოლონიას“ შაბათს მასპინძლობს (სხვა მატჩები კვირას ჩატარდება). ამ მატჩში მილანელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ შეიძლება სეზონში პირველად დემეტრიო ალბერტინი და მასიმო ამბროზინი ერთად ათამაშოს. ნახევარმცველთა ეს წყვილი გასულ ჩემპიონატში ბევრი სპეციალისტის აზრით „სკუდეტოს“ ძირითადი შემოქმედი გახლდათ.

„ბოლონიას“, ჯერ ერთი, ამ სეზონში ჯერ თამაში არ მოუგია, მეორეც, „მილანი“ „სან სიროზე“ ბოლოს 1964 წელს დაამარცხა. მაშინ ბოლონიელები ჩემპიონები გახდნენ და მას მერე ტიტულზე მხოლოდ ოცნებობენ.

რომის „ოლიმპიურ სტადიონზე“ „რომა“ „პერუჯას“ მასპინძლობს. პერუჯელთა მწვრთნელის, კარლო მაცონესთვის ეს მატჩი გარკვეულ ემოციებთან იქნება დაკავშირებული, რადგან 1993-96 წლებში იგი „რომას“ ედგა სათავეში. ისე, „პერუჯას“ დედაქალაქში 23 წელიწადია არ მოუგია.

რომაელთა მწვრთნელი ფაბიო კაპელო ამ შეხვედრაში, სავარაუდოდ, ათამაშებს ვინჩენცო მონტელას, რომელსაც „სამპდორიადან“ ახალ გუნდში გადასვლის შემდეგ ჯერ გოლი არ გაუტანია, ხოლო რუსი დმიტრი ალენიჩევი, ორ თამაშში ოთხჯერ რომ შეაგდო, სკამზე დაჯდება.

გამთამაშებელი, ფრანჩესკო ტოტი „რომას“ შემადგენლობაში 150-ე შეხვედრას ჩაატარებს.

„ინტერი“ ტურინში ითამაშებს „ტორინოსთან“. ცოტა უხერხული კია, ქალაქს ტურინს ვუწოდებდეთ, გუნდს კი „ტორინოს“, როდესაც სინამდვილეში, ორივე ტორინოდ უნდა გამოითქმებოდეს, მაგრამ ამ სტატიაში იტალიური ქალაქის სახელწოდების მამა-პაპათა დათქმულ მცდარ გადმოქართულებას ვერ შევებრძოლებით და ამიტომ ვიტყვით, რომ ტურინის „ტორინო“ (რა საშინელებაა!), რომელიც სამი სეზონი სერია B-ში იყო, „ინტერს“ 64-ედ მასპინძლობს.

სამი ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში მყოფ „ინტერს“ რობერტო ბაჯო გამოუჯანმრთელდა, ხოლო რონალდო, ალბათ, მილანში დარჩება.

„ფიორენტინა“ უდინეში სტუმრობს. „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში 2:4 დამარცხების შემდეგ ფლორენციელებს ერთი რომ ღირსების აღდგენა სჭირდებათ და მეორეც, ჩვეულებრივი ამოცანა აქვთ, ქულების მოპოვება, ოღონდ მის გადაჭრას ბარსელონაში კოჭნატკენი რუი კოშტას გარეშე შეეცდებიან.

**ბაპუნა ძიდია**

## შვეიცარია

გადადებული მატჩი

**ქსამაქსი 1:2 ბაზელი**

0:1 თოლოტი (50), 0:2 ჩოპი (71), 1:2 ბიელი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 6 | 6 | 1 | 17:8 | 24 |
| სენტ გალენი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 22 |
| სერვეტი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:18 | 20 |
| გრასჰოპერი | 12 | 4 | 5 | 3 | 22:16 | 17 |
| ლოზანა | 12 | 4 | 5 | 3 | 17:14 | 17 |
| ივერდონი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:14 | 16 |
| ლუცერნი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | 16 |
| ციურიხი | 12 | 3 | 5 | 4 | 9:14 | 14 |
| არაუ | 12 | 4 | 2 | 6 | 17:25 | 14 |
| ქსამაქსი | 13 | 2 | 6 | 5 | 18:25 | 12 |
| დელემონი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:23 | 12 |
| ლუგანო | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 |

# რიქსი გამოუშვეს

ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი და ახლო წარსულის ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი გრემ რიქსი ციხიდან გამოუშვეს. მას თხუთმეტი წლის გოგონას გაუპატიურებისთვის ერთწლიანი სასჯელი უნდა მოეხადა, მაგრამ ექვს თვეში გაათავისუფლეს. საინტერესოა, რომ 41 წლის რიქსი ოთხი შვილის მამაა.

„ჩელსის“ მენეჯერმა ჯანლუკა ვიალიმ თქვა, რომ რიქსი კლუბს მალე დაუბრუნდება. ახლა მას მძიმე დღეები უდგას და დასამშვიდებლად დრო სჭირდება. ვიალის განცხადებით, კლუბის მწვრთნელთა შტაბში ის „ქუინზ პარკისა“ და „ფულემის“ ყოფილი მწვრთნელის, რეი უილკინსის მიწვევას აპირებს.

# ბექემის მორიგი გადარჩენა



ბექემისა და კოციანის (მარჯვნივ) ძიძგილაობა

**დავუბრუნდეთ** ოთხშაბათის ჩემპიონთა ლიგის მატჩს, „შტურმი" — „მანჩესტერ იუნაიტედი". ამჯერად მისი ერთი ეპიზოდი გვაინტერესებს: დევიდ ბექემმა ტომისლავ კოციანს ფეხი ჰკრა, რის გამოც იგი შეიძლება კარგადაც დასჯილიყო, მაგრამ ბედად მსაჯმა ალფრედო ტრენტალანჯემ ინციდენტი შეხვედრის ოქმში საერთოდ არ შეიტანა და შესაბამისად უეფა „მანჩესტერ იუნაიტედს" აღარ დასჯის.

საინტერსოა, ტრენტალანჯემ ბექემი კოციანის ხელყოფისთვის არც კი გააფრთხილა, სამაგიეროდ ნახევარმცველს ყვითელი ბარათი აღუმართა მაშინ, როდესაც იგი ამას ნაკლებად იმსახურებდა — რომან მაელიხის წინააღმდეგ უხეშობის თუ მასთან ძალისმიერი ორთაბრძოლის დროს.

ამ საკითხის შესახებ კომენტარი სთხოვეს უეფას პრესმდივანს, რომელმაც ასეთი პასუხი გასცა: „ჩვენ მივიღეთ შეხვედრის არბიტრის ოფიციალური ოქმი, რომელშიც ასეთი ინციდენტის შესახებ არაფერია ნათქვამი. მასში აღნიშნულია, რომ ბექემმა ყვითელი ბარათი მიიღო, მაგრამ მეტი არაფერი წერია".

მოკლედ ბექემს შეუძლია თავი უკიდურესად იღბლიან ადამიანად ჩათვალოს, თავისი მორიგი ქაჯობის გამო რომ არ სჯიან. საქმე კი ასე იყო: მან კოციანი მარჯვენა ბუცით მეოთხე მსაჯისგან ორიოდ მეტრში და ტრენტალანჯეს მხედველობის არეში მიწიხლა.

ბექემის გაწიწმატების მიზეზი ის გახლდათ, რომ მისი აზრით მსაჯს, კოციანი გზის გადახერგისთვის უნდა დაეჯარიმებინა. ეპიზოდთან დაკავშირებით — „არნოლდ შვარცნეგერის" სტადიონზე 47-ე წუთი მიმდინარეობდა — კოციანმა თქვა, რომ მსაჯი ვალდებული იყო ინგლისელი მოედნიდან გაეძევებინა.

„არბიტრი შეცდა. რადგან დაუყოვნებლივ უნდა ამოეღო წითელი ბართი. ბექემმა რომ დამარტყა, ბურთი ჩვენთან აღარ იყო. როგორც წესი, ასეთ დროს ფეხბურთელებს აძევებენ ხოლმე. ბექემი ჭკუიდან სრულიად გადასული გახლდათ, მაგრამ ეს სიგიჟე ერთ წამზე მეტხანს არ გაგრძელდა. ვგონებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ იგი გამუდმებით დიდი ზეწოლის ქვეშ არის, თუმცა მსაჯს მაინც მოქმედება მართებდა. ბოლოს და ბოლოს ფეხბურთში ყველაფერი ხდება".

შემდეგ კოციანმა ეჭვი გამოთქვა, რომ ტრენტანჯელემ ბექემი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე, ინგლის-არგენტინის შეხვედრაში დაშვებული შეცდომის გამო დაინდო. გეხსომებათ ანალოგიური ინციდენტი, რომლის დროსაც ბექემმა დიეგო სიმეონეს ჰკრა წიხლი, წითელი ბარათი მიიღო და შედეგად, უმცირესობაში დარჩენილი ინგლისი შეჯიბრებას გამოეთიშა.

„მგონი მსაჯები მას უფრთხილდებიან, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარის გამო რეპუტაცია ისედაც შელახული აქვს. არბიტრებს მისი გაძევება არ უნდათ და ეს მას ერთგვარ უპირატესობასაც კი აძლევს".

არადა ბექემი ძალიან თხელ ყინულზე მისრიალებს: ამ სეზონში კოციანთან დაკავშირებული ინციდენტი მისთვის ხომ უკვე მეოთხეა. გავიხსენოთ, ინგლისის სუპერთასზე ანუ „ჩერითი შილდზე", მოკლედ „უემბლიზე" ფანები თავისი V-ჟესტით გააღიზიანა, ხოლო ერთი ხნის წინ, ლივერპულში, „ენფილდ როუდზე" სტივენ ჟერარდს მიარტყა, ხოლო ჯეიმი რედნეპს წიხლი ჰკრა.

პირველადაც, მეორედაც, მესამედაც და აგერ, მეოთხედაც, დევიდ ბექემი გასაძევებელი იყო, მაგრამ დაინდეს. კოციანი კი, თურმე, სულაც არ გაბრაზებულა, პირიქით, ინგლისელ ნახევარმცველს ნიჭს უქებს.

„ბექემის გაფრთხილება კი უსამართლობა გახლდათ. მსაჯმა მასაც და მაელიხსაც რატომღაც ყვითელი ბარათი აჩვენა" — დასძენს კოციანი — „არადა მას იმ წუთას არაფერი დაუშავებია. საბოლოოდ კი ვფიქრობ, რომ იმ საღამოს ბექემმა კარგად ითამაშა, მატჩი კი ორივე გუნდმა პატიოსნად ჩაატარა".

**დევიდ ანდერსონი**

# პრემიერი ერს შეუერთდა

**ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრი, ტონი ბლერი, იმ ათეულობით ათას ადამიანს შეუერთდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე დაბრუნებას რომ თხოვს. მისტერ ბლერმა „მირორისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „როგორც ფანების უმრავლესობას, მეც მსურს „იუნაიტედი" ეროვნულ შეჯიბრებაში დაბრუნდეს. ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ეს მოხდება. თუ კლუბი და ასოციაცია დასხდებიან, ვგონებ გამოსავალს მოძებნიან და ჩვენც მას სიხარულით შევხვდებით".

ამასთან პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ იგი ინგლისის ჩემპიონს ასოციაციის თასისთვის დანებებაში არ ადანაშაულებს. მოგეხსენებათ, „იუნაიტედმა" ამ უძველეს შეჯიბრებას ბრაზილიაში დანიშნული, კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამო დაანება თავი.

ბლერმა უარყო ჭორები, რომ მანჩესტერელებს ბრაზილიაში წასვლისკენ ბრიტანეთის ხელისუფლებამ უბიძგა, რათა ამ აქციით ფიფას გული მოელბო და 2006 წლის ნაკრებთა მსოფლიოს ჩემპიონატი ინგლისისთვის დაელოცა.

პრემიერ-მინისტრმა ბრძანა: „ძალიან ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ფეხბურთის ასოციაციის თასისთვის თავის დანებება ხელისუფლებამ ურჩია. მთავრობის პოზიცია ასეთია: ჩვენ მხარს ვუჭერთ ინგლისის ბრძოლას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის და თუ ამ ბრძოლას „იუნაიტედის" ბრაზილიაში წასვლა ხელს შეუწყობს, ძალიან კარგი იქნება, თუმცა ამან ძალიან ძნელი გადაწყვეტილების წინაშე დაგვაყენა და მესმის, რომ ამ გადაწყვეტილებას პრობლემები მოჰყვა.

ვიცი ისიც, რომ ქვეყანაში ფანების უმრავლესობა „იუნაიტედის" ასოციაციის თასზე დაბრუნებას ოცნებობს და მჯერა, რომ გამოსავალი ჯერ კიდევ არსებობს".



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და ინგლისის პრემიერმინისტრი ტონი ბლერი



ედგარ დავიდსი

# გლაუკომის დასამარცხებლად

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი ედგარ დავიდსი უახლოეს დღეებში თვალის ოპერაციას გაიკეთებს — მას გლაუკომა სჭირს და დაახლოებით ექვსი კვირით გამოაკლდება გუნდს — წერია ტურინის „იუვენტუსის" მიერ გავრცელებულ ცნობაში.

კლუბის პრესატაშის განცხადებით, მისთვის ცნობილი არაა, რომელი ქალაქის კლინიკაში გაიკეთებს დავიდსი ოპერაციას, მაგრამ ის კი იცის, რომ მის მოედანზე დაბრუნებას 35-40 დღის განმავლობაში არ უნდა ელოდონ.

დავიდსს გლაუკომის სამკურნალოდ, აქამდე, თვალში წამალს უწვეთებდნენ. ეს წამალი შეიცავდა ნივთიერებას, რომელიც იტალიის ოლიმპიურ კომიტეტთან არსებულ ანტისადოპინგო ლაბორატორიას აკრძალულთა სიაში აქვს შეტანილი. ამიტომაც კამათს ჰოლანდიელისთვის თამაშის ნებართვის მიცემა — არ მიცემის თაობაზე დაახლოებით თვე დასჭირდება. რის შემდეგაც ნახევარმცველი მოედანზე სათვალით გამოჩნდა.

**გერმანულმა** დორტმუნდის „ბორუსიამ" ნიგერიელი ფორვარდი ვიქტორ იკპება 10 000 მარკით დააჯარიმა. მიზეზი — ფეხბურთელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. კლუბის დირექციის განცხადებით, ანალოგიური საქციელი არც ერთ ფეხბურთელს არ ეპატიება, რადგან ეს კოლექტივის მებრძოლ სულს აძაბუნებს. ერთი კი ფაქტია, რომ ბოლო დროს მწვრთნელის, მიხაელ სკიბეს ტაქტიკას ნიგერიელი ველარ ერგება. თავად 26 წლის იკპება აცხადებს, რომ როცა „მონაკოში" თამაშობდა, „ბორუსია" ყოველმხრივ შეეცადა მის გადაბირებას, მაგრამ ახლა უკვე აღარ სჭირდებათ და იმიტომაც ექცევიან ასე.

**ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას" მეკარე სანტიაგო კანისარესი ტრავმის გამო სულ ცოტა, ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. კლუბის განცხადებით, გასულ სამშაბათს „ვალენსიასა" და ჰოლანდიური პსვ-ს ჩემპიონთა ლიგის მატჩის დროს კანისარესი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. რენტგენული გასინჯვისას ესპანელ მეკარეს ფეხის მსუბუქი მოტეხილობა დაუდგინდა. ახლა ის ლიგის ორ უახლოეს თამაშს გამოტოვებს (ორივეს „ბაიერნთან"). აგრეთვე ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩს, რომელშიც ესპანელები ისრაელს ეთამაშებიან.**

**გერმანიის** ფინანსთა მინისტრმა ჰანს ეიხელმა გუშინ ჟურნალისტებს ახალი საფოსტო მარკა წარუდგინა, რომელიც მიუნხენის „ბაიერნის" საპატივცემულოდ გამოუშვეს. მარკაზე, რომელიც 1,1 გერმანული მარკა ღირს, ლურჯ-თეთრ ფონზე („ბაიერნის" ფერებია) აკრობატულ ნახტომში დარტყმის შემსრულებელი ფეხბურთელია გამოსახული. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ყველაზე ცნობილი კლუბი „ბაიერნი" თხუთმეტჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი და სამჯერ ფლობდა ჩემპიონთა თასს, თუმც ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხდა 1:2.

**რუსეთში 80 წლისა გარდაიცვალა მოსკოვის „დინამოს" ყოფილი ფეხბუთელი ვასილი ტროფიმოვი. ის იმ დიდი „დინამოს" წევრი გახლდათ, რომელმაც 1945 წელს საბჭოთა გუნდებიდან პირველმა ითამაშა ბრიტანეთში. მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ ტროფიმოვი მწვრთნელად მუშაობდა. მისი სიკვდილის შემდეგ კონსტანტინ ბესკოვი ერთადერთი ცოცხალი ადამიანი დარჩა მათ შორის, ვინც მაშინ ბრიტანეთის მინდვრებზე „დინამოს" ღირსებას იცავდა.**

**უკრაინის** ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, კიევის „დინამოს" სამმა რუსმა ფეხბურთელმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო: „დღეიდან სერგეი კორმილცევი, სერგეი სერებრენიკოვი და არტიომ იაშკინი ოფიციალურად გახდნენ უკრაინის მოქალაქეები და მალე თავიანთ ახალ ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზეც წარადგენენ" — განაცხადა უფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ანატოლი დიბენკომ. მისივე თქმით, სამეულის დებიუტი უკრაინის ნაკრებში სავარაუდოდ 9 ოქტომბერს შედგება მოსკოვში, როცა უკრაინა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს რუსეთთან. მაგრამ არა მარტო რუსები იცვლიან წარმომავლობას. გასულ თვეში უკრაინელმა ედურად მორმა, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში" ირიცხება, რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ამ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებშიც ითამაშა.

**ინგლისში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. პრემიერლიგის ერთ-ერთმა გუნდმა „ქოვენთრი სიტიმ" კლუბის ოფიციალური პრეზერვატივები გამოუშვა. ვაჭრობის დარგში მენეჯერის განცხადებით, მათ ეს ნაბიჯი დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადადგეს და შეეცდებიან, პროდუქციამ ყველანაირი სტანდარტი დააკმაყოფილოს. საქონელი გუნდის სტადიონთან მდებარე მაღაზიასა და ქოვენთრის რამდენიმე სუპერმარკეტში გაიყიდება, რომლებიც კლუბის პარტნიორები არიან.**

**ნორვეგიელი** ნახევარმცველი ლარს ბოჰინენი ახალ კლუბს ეძებს. მისი ახლანდელი გუნდის — „დერბი ქაუნთრის" მწვრთნელის, ჯიმ სმიტის განცხადებით, იგი გუნდში ველარასოდეს ითამაშებს. ამის მიზეზი ფეხბურთელის ინტერვიუ გახლავთ, რომელიც მან გაზეთებს ბოლო ტურის მატჩის შემდეგ მისცა. შეგახსენებთ, რომ „დერბიმ" საკუთარ სტადიონზე 0:5 დათმო შეხვედრა „სანდერლენდთან". ინტერვიუში ნორვეგიელს გუნდის ტაქტიკური სქემა გაუკრიტიკებია, თუმცა ახლა ის აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს და ყველაფერი პრესამ მოუგონა. ბოჰინენის თქმით, მწვრთნელს სიმართლე რატომღაც არ აინტერესებს, არადა, იგი უფრო ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს ამგვარ სიტუაციებს. თუმც ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ახალი კლუბის ძებნა მაინც მომიწევსო — დასძენს ფეხბურთელი.

**ბრაზილიელმა ედმუნდომ თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა. მას შემდეგ, რაც იტალიური „ფიორენტინა" დატოვა და სამშობლოში „ვასკუ და გამას" რიგებს შეუერთდა, მან ტურის ბოლო შეხვედრაში ჩემპიონატის ლიდერ „კორინთიანსის" წინააღმდეგ ორი გოლი გაიტანა, საბოლოოდ კი მისმა გუნდმა 4:2 გაიმარჯვა. „ვასკუ და გამამ", როგორც იქნა, მოახერხა თამაშის 11 ფეხბურთელით დასრულება, ბოლო 2 მატჩში მას 5 ფეხბურთელი გაუძევეს. თუმცა, ახლა გუნდი მოედანზე მთავარი მწვრთნელის — ლოპესის გარეშე დარჩა, რომელსაც ინციდენტის გამო სათადარიგოთა სკამი დაატოვებინეს. დანარჩენი შეხვედრების შედეგები: პარინა — პალმეირასი 0:1; გამა — გრემიო 2:1; ბოტაფოგო — ჟუვენტუდე 0:1. ჩემპიონატს 11 მატჩიდან 24 ქულით „კორინთიანსი" ლიდერობს, მას 2 ქულით „ფლამენგო" ჩამორჩება, მესამე-მეოთხე ადგილებს 21 ქულით „პაულო" და „კრუზეირო" ინაწილებენ, თუმცა „პაულოს" ყველაზე მეტი — 12 მატჩი აქვს ჩატარებული.**

**იუგოსლავიაში** ქვეყნის ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩები გაიმართა: ჩუკარიჩკი — ვოივოდინა 0:1, ჰაიდუკი — პროლეტერი 2:1. რადი — ცრვენა ზვეზდა 1:1, ოფკ — ბორაცი 1:4, რადნიჩკი — მილიციონარი 1:0, სპარტაკი — სარტიდი 1:0, პარტიზანი — ჰაიდუკი 3:0, ბუდუჩნოსტი — ჟელეზნიკი 1:0, ობილიჩი — სუტიესკა 2:1. ჩემპიონატს 5 თამაშიდან 13 ქულით „პარტიზანი" ლიდერობს, ამდენივე ქულა, ოღონდ 6 მატჩიდან მოუგროვდა მეორე ადგილზე მყოფ „ობილიჩს". მესამეზე ხუთი თამაშიდან 10 ქულით „ჟელეზნიკია".

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# ნოტინგემი?

ოცი წლის წინათ „ნოტინგემ ფორესტმა“, მანამდე ევროპისათვის სრულიად უცნობმა გუნდმა, რომელსაც ევროპისათვის საკმაოდ ცნობილი მწვრთნელი ბრაიან კლაფი ხელმძღვანელობდა, ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და ორი წელიწადის განმავლობაში საერთოდ არ წაუგია თამაში. „ნოტინგემის“ შესაფასებლად ყველაზე ხშირად ხმარობდნენ სიტყვებს „ეშმაკი“, „ვერაგი“, „მკვლელი“, „მოსაწყენი“...

ეს ამბავი წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ცქერისას გამახსენდა.

შეძლებს კი ოდესმე მოწინავე ქვეყნის დაბალი ლიგიდან ამომძვრალი, შიდა ჩემპიონატის ოთხეულში თავგამოჩენილი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას და თანაც ზედიზედ? სულ ოცი წლის წინათ მოხდა ეს ამბავი. ამის შემდეგ „ნოტინგემ ფორესტმა“ ქუდი დაიხურა და თავის ძველ, ჩვეულ გზას შეუდგა. მაგრამ მოხდება ასეთი რამ კიდევ ერთხელ? თუნდაც „პარმა“, ან ვინმე ასეთი გაქანებისა, შეძლებს ოდესმე შეეთამაშოს ჩემპიონთა თასს? მგონი, ევროპულ ფეხბურთში წავიდა ახალი კლუბების აღმოჩენის და მათი გაბრწყინების დრო. თუკი რამ მოხდება ასეთი, ალბათ უეფას თასზე, რომელიც, რა დასამალია და სანუგეშო ტურნირს ჰგავს.

სწორედ ამ შეხედულებამ მიმიყვანა დიდ სარაგბო გათამაშებებთან, სადაც სრულიად წარმოუდგენელია თუნდაც მაგარმა, ახლად წამოჩიტულმა გუნდმა (ასეთები პრაქტიკულად არ არიან) რაიმე მოიგოს. რაგბიში აღარ არის სენსაციები, აღარ არის ისინი უმაღლესი დონის კალათბურთშიც და თანდათან ქრება ეს ამბავი ფეხბურთშიც. აქ იმას ვგულისხმობ, რომ აიკ-მა „ბარსას“ მოუგოს. და არა იმას, რომ ორ წუთში, ორ გოლს ველარავინ გაიტანს ლიგის ფინალში.

სურათი ასეთია: ჩემპიონთა ლიგაში თანდათან ჩამოიქნება მუდმივ მონაწილე სუპერგუნდთა ბირთვი, ანუ ელიტის ელიტა, რომელიც წლიდან წლამდე იქნება ტურნირში. ჩონჩხი ლიგისა სწორედ ეს გუნდები შეიქმნებიან. მათ გამოედევნება საშუალო ელიტა, „რუსენბორგების“ ლაშქარი და ახლადმოხვედრილი მლიერები, რომლებიც თავიანთ „ნოტინგემობას“ ველარ დაადასტურებენ. ბოლო ჯგუფი კი „მარიბორ“ — „პიკებისა“ იქნება.

ამიტომ სენსაციები წარმოუდგენელი ხდება.

ეს, რა თქმა უნდა, კარგიცაა და ცუდიც, თუმც, ფეხბურთი არნახული სიმაღლეებისა და სანახაობისკენ მიემართება და მილიარდობით ადამიანს დიდად აღარ სჭირდება უბრალოდ მლიერთა ამბებით დაინტერესება. მას ძალიან ძლიერნი ურჩევნია.

„ნოტინგემი“ კი... აღარასოდეს იქნება.

წავიდა ის ფილოსოფია და ის ფეხბურთი. თუმც, ეს ამბავი, ჯერჯერობით, ოთხმახუთმა კლუბმა თუ ამოიცნო. ამოიცნო და ეტყობა კიდეც, რომ ამოიცნო.

ეს გუნდები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და უტევენ და უტევენ.

ელიტა ახლა იქმნება.

*ჟუნინიოს მადრიდის „ატლეტიკოში“ ხელი მოეცარა, ცალკე ტრავმები სტანჯავდა და ცალკე მწვრთნელებთან ჰქონდა პრობლემები. კერძოდ, „ატლეტიკოს“ სათავეში სულ ის სპეციალისტები მოდიოდნენ, რომელთა სქემაში გამთამაშებლისთვის ადგილი არ იყო, ბრაზილიელი კი თავს ლაღად სწორედ ამ პოზიციაზე გრძნობს. და აი, ტანჯვას წერტილი, უფრო სწორად ჯერჯერობით მძიმე დაესვა — ჟუნინიო „ატლეტიკომ“ თავის ყოფილ გუნდს, ინგლისურ „მიდლსბროს“ სეზონის ბოლომდე ათხოვა, მერე კი იქნებ შესაფერისი თანხა და ზემოხსენებული წერტილიც გამოინახოს.*



ჟუნინიო

# კაცი, რომელიც, დაბრუნდა იქ, სადაც უყვართ

**— დღეს ტინსაიდზე დაბრუნებული, ალბათ, ესპანეთში, მადრიდის „ატლეტიკოში“ გატარებულ დღეებს იგონებთ...**

— აქედან ესპანეთში რომ მივდიოდი, ყველაფერი გააზრებული მქონდა, ვაკეთებდი იმას, რაც ჩემი კარიერისთვის სწორი მეგონა და ვგონებ მიდლსბროელმა გულშემატკივარმაც გამიგო. მართალი გითხრათ არაფერს ვნანობ, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ მადრიდში წასვლამ ხელი არ შემიწყო. სირთულეები რამდენიმე მიზეზმა შემიქმნა, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხის მოტეხვა გახლდათ. ტრავმა ისედაც რთულ დროს დაემთხვა. მოკლედ, კაცი უარესს ვერც წარმოიდგენდი. იმედი, რომ კარიერაში დიდ ნახტომს გავაკეთებდი, ამაო გამოდგა. ის კი არა, ლამის ყველაფერი დავკარგე. გაზვიადებაც არ მსურს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ „ატლეტიკოში“ გატარებული პერიოდი ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში უბედნიერესი არ ყოფილა. მეგონა, ესპანეთში ნიჭის გამოვლენის საშუალება მომეცემოდა, მაგრამ საქმე ცუდად წამივიდა და სანაკრებო კარიერაც სერიოზულად დამიზარალდა.

**— და მაინც, ესპანეთის დატოვებამ დიდად არ გაგახარათ.**

— არ მინდოდა დამარცხებულის სახელი გამვარდნოდა. ხალხი მაკრიტიკებდა, მე კი მათთვის ჩემი ძალის დამტკიცება მსურდა. რამდენჯერმე მქონდა „ატლეტიკოდან“ წასვლის საშუალება, გამოჩნდნენ კლუბები, რომლებიც ჩემს ყიდვას ლამობდნენ, მაგრამ დავიჟინე, დავრჩები და ბედის ბორბალს წაღმა დავატრიალებ, მეთქი. ბოლოს მოთმინება დავკარგე და სწორედ ამ დროს მომეცა ჩემს საყვარელ ადგილას დაბრუნების საშუალება. მგონი სწორი ნაბიჯი გადავდგი და იმედი მაქვს, რომ ცუდი ხანა ზურგსუკან დამრჩა.

**— მაგრამ, ჯერჯერობით „მიდლსბრომ“ გითხოვათ.**

— სეზონის ბოლომდე. ამ ხნის განმავლობაში შევეცდები ბრაიან რობსონს დავუმტკიცო, რომ ჩემს გამოსასყიდად დიდი ფულის გადახდა ღირს. მიდლსბროში დარჩენა ჩემი სურვილია. ადრე, აქ რომ ვიყავი, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, ახლა კი მწამს, რომ კლუბს მიზნად „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალთან“ გაჯიბრება აქვს გულში ამოჭრილი. „მიდლსბროს“ გამოცდილი, ბრძოლებგადახდილი ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც გასულ სეზონში დაამტკიცეს, რომ პრემიერლიგაში ბრძოლა ხელეწიფებათ. მართლაც ბედნიერი ვარ აქ რომ დავბრუნდი.

**— ზოგი იმ გუნდში დაბრუნებას, სადაც ადრე თამაშობდა, ძალიან უფრთხის.**

— კი მაგრამ მე ხომ ბრაიან რობსონთან და მიდლსბროელ ფანებთან დიდებული ურთიერთობა მქონდა. გარდა ამისა ვგონებ, ცხოვრებაში, ხშირად ნაბიჯის წინ გადადგმაზე ჭკვიანური, უკან გადადგმაა. თუ გარკვეულ დონეზე კიდევ ვითამაშებ, ვიცი, რომ ჩემი კარიერა ძველებურად აღმავლობის გზით წავა. იცით, ჯერ კიდევ ბავშვივით ვარ, „მიდლსბროში“ დაბრუნებული კლუბს ვათვალიერებ და ვატყობ, რომ აქ ისეთი ცვლილებები მოხდა, მარტო ჩემთვის კი არა, ყველასთვის კარგი რომ არის.

**— მაგრამ „ბოროს“ ფანები თქვენგან ითხოვენ იმას, რაც ახსოვთ, ეს კი, წესით, დიდი ზეწოლის ქვეშ მოგაქცევთ.**

— ცხოვრებაში არ მიზარმაცია, ყოველთვის ბევრს ვმუშაობ და ლალატიც არ მჩვევია. არ მგონია ხალხმა ჩემს შესახებ ესპანეთში გატარებული ორი წლის მიხედვით იმსჯელოს. წესით მათ არც იმით უნდა განმსაჯონ, რაც მიდლსბროსთვის ადრე გამიკეთებია. უნდა შემაფასონ იმით, რასაც დღეს ვაკეთებ. ძალიან მინდა გუნდს გამოვადგე და საკუთარი თავი ყველაზე დიდი ზეწოლის ქვეშ თავად მყავს. ამიერიდან მიდლსბროში დიდი ხნით დარჩენა მწადია. ვიმედოვნებ, რომ სწორედ ასეც მოხდება.

**— როგორც თავად აღნიშნეთ, თქვენი სანაკრებო კარიერაც დაზარალდა...**

— საკუთარი ქვეყანა მიყვარს და მინდა იქ კვლავ შემნიშნონ. ინგლისიდან ესპანეთში იმიტომაც გადავედი, რომ „მიდლსბრო“ პირველ დივიზიონში გახლდათ გავარდნილი, ხოლო დაბალ ლიგაში გამოსვლა საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლაში ხელს შემიშლიდა. „მიდლსბროში“ პირველად რომ მოვედი ნაკრების წევრი გახლდით, ხოლო, როგორც კი გუნდმა პრემიერლიგაში სულის ლაფვა დაიწყო, ადგილი დავკარგე. დღეს უკვე მტკიცედ მწამს, რომ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში თამაშის შანსი თავიდან მომეცემა. თუ მე წარმატებული „მიდლსბროს“ წარმატებული ფეხბურთელი გავხდები, დიდებული იქნება.

**— მოკლედ, ცხოვრებით მაინც არ ხართ უკმაყოფილო.**

— ცხადია. დღეს თავს ისე ბედნიერად ვგრძნობ, არასდროს რომ ვყოფილვარ. ძალიან კარგია იქ მისვლა, სადაც გრძნობ, რომ ხალხს სჭირდები და პატივს გცემს. რაც წასული ვარ, „მიდლსბროს“ თამაში ერთიორად გაუმჯობესებია, რაც შემიძლია კიდევ ერთ გამოწვევად მივიჩნიო. ჩემთვის და კლუბისთვის საუცხოო დრო დგება და ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რათა მწვერვალებს მივაღწიო. თუ თამაში სიამოვნებას არ განიჭებს, ფორმას კარგავ, მაგრამ ვიცი, რომ აქ თავს კარგად ვიგრძნობ ანუ კარგადაც ვითამაშებ.

**365-დან თარგმნა**
**მიხეილ სურგულაძემ**

# ცხრა თვე დოპინგისთვის

გერმანული „ნიურნბეგის“ 30 წლის ნახევარმცველი ტომას ციმერი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გუშინ ოფიციალურად დასაჯა 9 თვით. მიზეზი — აკრძალული დოპინგ-პრეპარატის მიღება.

29 მაისს „ნიურნბერგ“ — „ფრაიბურგის“ (1:2) მატჩის დამთავრების შემდეგ ციმერს სინჯი აუღეს და მასში ანაბოლიკ „ანდროსტენდიონის“ კვალი აღმოაჩინეს. „ნიურნბერგი“ კი გასულ გაზაფხულზე პიოველი ბუნდესლიგიდან გავარდა.

გერმანიის საფეხბუთრო კავშირის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განაცხადეს, რომ ციმერის დისკვალიფიკაცია ძალაშია 23 აგვისტოდან და გაისად 22 მაისამდე გაგრძელდება.

სხვადასხვა წლებში გერმანიაში დოპინგის გამოყენებისთვის ოთხი ფეხბურთელი დასაჯეს, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის — რაინერ კოხის თქმით, ციმერის შემთხვევა უნიკალურია, რადგან ასი პროცენტით დამტკიცებულია. ფეხბურთელის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ აკრძალული პრეპარატი ციმერის ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა. ამის შესახებ მოთამაშემ არაფერი იცოდაო. თავად ციმერი კი ამბობს, რომ შესაძლოა „ანდრესტენდიონი“ იმ წამლის შემადგენლობაშია, რომელიც მას დიეტოლოგმა გამოუწერა. ციმერი თავის ექიმს თურმე ყველაფერს უჯერებდა.

„წამლების მიღებაზე ყველა მოთამაშემ პასუხი უნდა აგოს — ამტკიცებს კოხი — ექიმისადმი ბრმა ნდობა გამართლება არ არის“.



ტომას ციმერი

## სატირბოროტო

### კითხვა-პასუხი

***— შენ ვინ მოგეწონა?***

— მოლსი.

***— კარგია, მაგრამ... მოლსისთანა იქ ბევრი იყო.***

— აბა, ჩამოთვალე...

***— ჩამოთვლა რად მინდა? ერთს გეტყვი და დავამთავრებ — ფიგუ.***

— ეე, ეგ ხო ძველია. მე ახლებზე ვამბობ.

***— ძველი რას ნიშნავს, ჯინსი ხომ არ არის რომ დაიხეს და ველარ ჩაიცვა?***

— შენ ახლები მითხარი.

***— ახლებშიც და ძველებშიც ფიგუ.***

— არა გაქვს სათქმელი.

***— ვან ფოსენს ეთამაშა, ნახავდი, თუ არ მექნებოდა.***

— მე მოვითხოვ, აჩრდილებს, დაკარგულ თაობებს, ბრაიან როის ტიპის ადამიანებს, ნუ ვახსენებთ.

***— აბა, ბონავენტურე კალუ გითხრა?***

— ბაშირუ სალუ მითხარი.

***— კაცს ცუდი წამოცდება ფიგუზე?***

— არა, ფიგუზე არა.

***— გასაგებია, „ბარსა“ ამოგიჩემებია.***

— რას ამბობ, როგორ შევკადრებ. ისე მოქსოვეს ყველაფერი. მაგრამ...

***— რაღა მაგრამ?***

— დიდებულია, დიდებული, მაგრამ...

***— ჰა, ამოღერღე...***

— „ბარსა“ ჩინურ ლარნაკს მაგონებს. აჰ, რა ლამაზია, რა ნაკეთები, რა ფერები, რა ოსტატობა, მაგრამ აი, კენჭი რომ მოხვდეს, დაიმსხვრევა...

***— რატომ გგონია?***

— აი, არ ვიცი, მაგრამ ასე კი მგონია. რაღაც დაემართება და მერე ცოდვა არ არის?

***— ვინ უნდა ესროლოს ეგ კენჭი?***

— ეჰ, მეგობარო, გადახედე ამ საშინელ ცხრილებს. კენჭები კი არა, ლოდები აქვთ გამზადებული...

***— გინდა თქვა, რომ იქეთ ოთხშაბათს, ძია არსენა...***

— არა, არა, ამას ვერ ვიტყვი. დარწმუნებით ვერ ვიტყვი ვერაფერს.

***— მე კი პირიქით მგონია.***

— დამისახელე მოლსისნაირი.

***— არ გაგეცინოს და ხორდი კრუიფი.***

— სერიოზულად?

***— კარგი, ისე ვთქვი, ხუმრობით.***

— ეგრე ხუმრობა როგორ შეიძლება?

***— ისე, მაგ ხორდის, თუ იორდის, თუ ჯორდის ერთი გამორჩეული თვისება აქვს — უჩინმაჩინი კაცია, თავი რომ მოიკლა მოედანზე ვერ იპოვნი.***

— ეგეთი ბევრია.

***— და გაზა?***

— ამ სალიგო ამბავში გაზა რა შუაშია?

***— გაზას კი იპოვნი მოედანზე?***

— იყო მოედნები, სადაც მარტო ეგ ჩანდა.

***— ახლა სად არის ეგ მოედნები?***

— ალბათ, ვიდეოკასეტებზე.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | ვერდერი — ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 032 | უნტერჰახინგი — ჰერტა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 033 | ჰანზა — მიუნხენ 1860 | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 034 | დორტმუნდი — აინტრახტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 035 | დუისბურგი — შალკე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 036 | არმინია — ფრაიბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 037 | ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 041 | ფორტუნა — კარლსრუე | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ვალდჰოფი — ზანქტ პაული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 043 | ბერლინი — ობერჰაუზენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 044 | ოფენბახი — ალემანია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 045 | კიკერსი — კოტბუსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | მიონხენგლადბახი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 047 | არსენალი — უოტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 048 | ქოვენთრი — ვესტ ჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 049 | დერბი — ბრედფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 050 | ლიდსი — ნიუკასლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 051 | ლესტერი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 052 | მანჩესტერი — საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 053 | მიდლსბრო — ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 054 | სანდერლენდი — უენსდი | 1,4 | 3,5 | 7:0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 055 | უიმბლდონი — ტოტენჰემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 056 | ლივერპული — ევერტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. IX ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 057 | ბარნსლი — ჰადერსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 058 | ბირმინგემი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 059 | ბლექბერნი — უოლსოლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 060 | ბოლტონი — ნოტინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 061 | ფულემი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 062 | პორტ ვეილი — სუინდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 063 | პორტსმუთი — გრიმსბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 064 | შეფილდი — ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 065 | სტოკპორტი — ნორვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 066 | ტრანმერი — ჩარლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 067 | ვესტ ბრომვიჩი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 068 | იფსვიჩი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. IX ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 069 | ბლეკპული — უიკომბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 070 | ბორნმუთი — ბარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 071 | ბრენტფორდი — პრესტონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 072 | ბრისტოლი — ბარნლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 073 | კემბრიჯი — ჯილინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 074 | კარდიფი — უიგანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 075 | ლუტონი — ოქსფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 076 | მილუოლი — კოლჩესტერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 077 | ნოტსი — როვერსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 078 | რედინგი — ოლდემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 079 | სკანთორპი — ჩესტერფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 080 | რექსემი — სტოკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. IX ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 082 | ბრაიტონი — ჩელტენემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 083 | ჩესტერი — ლინკოლნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 084 | დარლინგტონი — პლიმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 085 | ექსეტერი — მაკლსფილდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 086 | ჰალიფაქსი — კარლაისლი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 087 | ჰალი — იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 088 | ლეიტონი — ჰარტლპული | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 089 | როჩდეილი — სუონსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 090 | როტერჰემი — ნორთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 091 | საუთენდი — პიტერბრო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 092 | ტორკი — ბარნეტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VIII ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 093 | მეცი — ნანტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 094 | პსჟ — მონაკო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 095 | ლიონი — სტრასბური | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 096 | ბორდო — ოსერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 097 | ბასტია — ლე ავრი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 098 | მონპელიე — სედანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 099 | ტრუა — ნანსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 100 | ლანსი — სენტ ეტიენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 101 | რენი — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XI ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 104 | ნიორი — გენგამი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 105 | ლე მანი — ამიენი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 106 | კანი — სოშო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 107 | ვალანსი — გენიონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 108 | შატორუ — აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 109 | ლუანი — ნიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 110 | ტულუზი — ნიმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 111 | ვასკეალი — ლავალი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალია. სერია A. IV ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 112 | ლეჩე — იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 113 | მილანი — ბოლონია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 114 | კალიარი — ვენეცია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 115 | რეჯინა — პიაჩენცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 116 | რომა — პერუჯა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 117 | ტორინო — ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 118 | უდინეზე — ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 119 | ვერონა — ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 120 | პარმა — ლაციო | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### იტალია. სერია B. V ტური

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 122 | ალძანო — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 123 | ემპოლი — ჩეზენა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 124 | ნაპოლი — ვიჩენცა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 125 | პესკარა — ფერმანა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 126 | პისტონეზე — კიევო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 127 | რავენა — სავოია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 128 | ტერნანა — ატალანტა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 129 | ტრევიზო — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 130 | კოზენცა — სამპდორია | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### იტალია. სერია C1/A. IV ტური

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 131 | ალბინოლეფე — მონტევარკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 132 | ბრეშელო — ლუმეცანე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 133 | კრემონეზე — კარარეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 134 | ლეკო — სპალ | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 135 | ლუკეზე — ვარეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 136 | მოდენა — ჩიტადელა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 137 | პიზა — ლივორნო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 138 | სანდონა — რეჯანა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 139 | სიენა — კომო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია C1/B. IV ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 146 | ლოდიჯანი — პალერმო | 2,6 | 2,7 | 2,6 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 140 | არეცო — დი სანგრო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 142 | ატლეტიკო — სტაბია | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 143 | ბენევენტო — ანკონა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 144 | ფ. ანდრია — გუალდო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 145 | ჯულიანოვა — კროტონე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 147 | მარსალა — კატანია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 148 | ნოჩერინა — ეიტერბეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 141 | ასკოლი — აველინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. V ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 150 | ბარსელონა — ბეტისი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 151 | მალაგა — რეალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 152 | სოსიედადი — სელტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 156 | ვალენსია — ვალიადოლიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 149 | რაიო ვალეკანო — სარაგოსა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 153 | ატლეტიკო — რასინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 154 | სევილია — ესპანიოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 155 | ოვიედო — ალავესი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 157 | დეპორტივო — ნუმანსია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 158 | მალიორკა — ბილბაო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 168 | ლევანტე — ხეტაფე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 169 | ატლეტიკო B — ლას პალმასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 159 | ელჩე — ესტრემადურა ($15^{00}$) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 160 | ლეგანესი — კორდობა ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 161 | ვილიარეალი — ეიბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 162 | ტენერიფე — ბადახოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 163 | სპორტინგი — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 164 | უელვა — სალამანკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 165 | ტოლედო — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 166 | მერიდა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 167 | ოსასუნა — კომპოსტელა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პორტუგალია. V ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 171 | ფარენსე — ბენფიკა | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 172 | ჟილ ვისენტე — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 173 | ალვერკა — ლეირია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 174 | ამადორა — მარიტიმუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 175 | ბრაგა — ბელენენსეში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 176 | სეტუბალი — სალგეირუში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 177 | რიუ ავე — სანტა კლარა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 178 | ბოავიშტა — გიმარაეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ჰოლანდია. VI ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ჰერენვენი — ტვენტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 181 | როდა — სიტარდი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 182 | პსვ — ტილბურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 183 | კამბური — ალკმარი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 184 | დენ ბოსხი — უტრეხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | გრააფსხაპი — ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 186 | სპარტა — მაასტრიხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 187 | ფეიენოორდი — ვალვაიკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ბელგია. VII ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | სენტ ტრუიდენი — ჰარელბეკე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 190 | ლოკერენი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 191 | ბეერსხოტი — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 192 | ბევერენი — გენკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 193 | ლიერსი — გენტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 194 | ლომელი — ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | ბრიუგე — მეხელენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 196 | გეელი — შარლერუა | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### საბერძნეთი. II ტური

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | პაოკ — კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 198 | ოფი — ქსანთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 199 | აეკ — პანათინაიკოსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 200 | არისი — პანაჰაიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 201 | ტრიკალა — ეთნიკოსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 202 | იონიკოსი — პროდეფტიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 203 | კავალა — ირაკლისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ოლიმპიაკოსი — პანაიონიოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| 205 | აპოლონი — პანილიაკოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ჩეხეთი. VIII ტური

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | ვიქტორია — ბლშანი (13[5]) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 209 | ბუდეიოვიცე — ბრნო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 210 | დრნოვიცე — სლავია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 211 | ოპავა — ლიბერეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 212 | იაბლონეცი — ჰრადეც კრალოვე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 213 | ტეპლიცე — ბანიკი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### პოლონეთი. X ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | ზაგლებე — ჰალექსი | 1,8 | 2,9 | 4,7 |
| 215 | ამიცა — პოგონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 216 | ოდრა — რაძიონკოვი | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| 217 | პლოცკი — ვიძევი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 218 | ლკს — რუხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 219 | გურნიკი — პოლონია | 2,4 | 2,9 | 2,6 |

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | ლეხი — ვისლა | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 221 | ლეგია — გროცლინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |

### უკრაინა. X ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | დინამო — ზირკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| 223 | ტავრია — მეტალურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 224 | დნიპრო — ჩორნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 225 | კრივბასი — კარპატი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 226 | ზაპოროჟიე — ცსკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 227 | შახტარი — ნივა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 228 | პრიკარპატია — მარიუპოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### თურქეთი. V ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 230 | ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 231 | გენჩლერბირლიგი — ალთაი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 232 | ერზურუმი — ისთანბული | 2,1 | 3,0 | 2,1 |
| 233 | დენიზლი — ვანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 234 | ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 235 | გიოზთეფე — ტრაბზონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 236 | ბურსა — ანკარაგიუჯიუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 237 | ანთალია — ადანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. VIII ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | დანდი იუნაიტედი — ჰართსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 239 | ჰიბერნიანი — სელტიკი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 240 | კილმარნოკი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 241 | მოზერუელი — აბერდინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,3 |
| 242 | რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ავსტრია. XIII ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 244 | აუსტრია — ლინცერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 245 | ლუსტენაუ — გრაცერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 246 | შტურმი — ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 247 | ზალცბურგი — რაპიდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### შვეიცარია. XIII ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 248 | სენტ გალენი — ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 249 | გრასჰოპერი — ციურიხი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 250 | ლუგანო — სერვეტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | ივერდონი — არაუ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 252 | დელემონი — ლუცერნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### დანია. IX ტური

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 254 | ვიბორგი — აკადემისკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 255 | კოპენჰაგენი — ესბიერგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 256 | ორჰუსი — ვაილე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 257 | ოდენსე — ლიუნგბიუ | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 258 | ოლბორგი — ბრიონდბიუ | 2,3 | 2,9 | 2,8 |

27 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 253 | ჰერფიოლგე — სილკებორგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### რუსეთი. XXV ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 259 | ჩერნომორეცი — როსტსელმაში | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 260 | როტორი — ტორპედო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 261 | ცსკა — ნ. ნოვგოროდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 262 | ზენიტი — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 263 | შინიკი — ლოკომოტივი | 5,0 | 3,6 | 1,6 |
| 264 | ურალანი — დინამო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 265 | ალანია — კრილია | 1,3 | 4,0 | 6,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

### შვედეთი. XXII ტური

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 266 | იურგარდენი — ჰელსინგბორგი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 267 | კალმარი — აიკ | 3,5 | 3,0 | 1,9 |

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 270 | გიოტებორგი — ტრელებორგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,8 |

27 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 268 | მალმიო — იორგრიტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 269 | ნორჩიოპინგი — ჰალმსტადი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 271 | ჰამარბი — ელფსბორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 272 | იორებრო — ფრიოლუნდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ნორვეგიის თასი

25 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 273 | მოლდე — ლილესტრიომი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

26 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 274 | რუსენბორგი — ტრომსიო | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი. IX ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. VIII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. IV ტური | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. V ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |

## ფორმულა 1. XIV ეტაპი

| მრბოლი | I ადგილი | სამეული | ექვსეული |
|---|---|---|---|
| ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 3,0 | 1,5 | 1,25 |
| ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 3,0 | 1,5 | 1,25 |
| ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 4,0 | 1,8 | 1,3 |
| სალო (ფინეთი, ფერარი) | 15,0 | 3,0 | 1,5 |
| რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 30,0 | 4,0 | 1,8 |
| ვილნევი (კანადა, BAR) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ტრული (საფრანგეთი, პროსტი) | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ვურცი (გერმანია, ბენეტონი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| პირველი სამეული თანმიმდევრობით | | | 10,0 |

| XIV ეტაპზე კონსტრუქტორთა შორის გამარჯვებული | |
|---|---|
| მაკლარენი | 1,4 |
| ფერარი | 2,3 |
| ჯორდანი | 3,5 |
| უილიამსი | 15,0 |
| სტიუარტი | 15,0 |
| ბენეტონი | 15,0 |
| ზაუბერი | 25,0 |
| პროსტი | 25,0 |
| ეროუზი | 25,0 |
| BAR | 25,0 |
| მინარდი | 25,0 |

**გადამრავლება შეიძლება სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი მრბოლისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი მრბოლისა) კოეფიციენტების.**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის თამაშის სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1), თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### მიხეილ ქორქია

კალათბურთი

დაიბადა 1948 წლის 10 სექტემბერს. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1968), ვიცე-ჩემპიონი (1969) და ბრინჯაოსმედალოსანი (1977), საკავშირო სპარტაკიადის (1975) ბრინჯაოსმედალოსანი, ევროპის ჩემპიონი (1971) და ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1975, 1977), „უნივერსიადა-73"-ის ვიცე-ჩემპიონი, მიუნხენის ოლიმპიადის (1972) ჩემპიონი



1. ყველაზე გულდასაწყვეტი სპორტული კარიერის დამთავრება იყო. ეს 1980 წელს მოხდა ხერხემლის ტრავმის გამო. ყველაზე გამორჩეული კი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება გახლდათ.

2. სახელმწიფო თუ არ დაუდგა გვერდით, დაიღუპება. ჩვენთან ჯერ ეკონომიკა არაა იმ დონეზე, სპორტს რომ მხსნელად მოევლინოს. დეპარტამენტის არსებობაც გამკვირვებია, მან სპორტი უნდა დააფინანსოს, ხოლო თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ უმჯობესია, დაიშალოს. სახელმწიფომ სპონსორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე მაინც უნდა იზრუნოს. მდიდარ ადამიანებს შეუძლიათ სპორტის კრიზისიდან გამოყვანა, მაგრამ ისინი ვერ ჩნდებიან, უვარგისი კანონების ეშინიათ. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შემოიღოს ისეთი კანონები, სპონსორობის მსურველებს რომ წაახალისებს.

3. ზურაბ საკანდელიძე, ოთარ ქორქია, ვიქტორ სანეევი.

ნინო სალუქვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე



კალათბურთი

# ბექანიშვილი ბათუმში გადავიდა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბექანიშვილი კარიერის რუსეთში გაგრძელებაზე სერიოზულად ფიქრობდა, თუმც სამშობლოში დარჩა. მისით თითქმის ყველა ჩვენებური კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ ვლადიმერი საბოლოოდ ბათუმის „ბასკოში" აღმოჩნდა. მოთამაშე კლუბთან უკვე შეთანხმებულია, ვაკო ამ სეზონს საქართველოში გაატარებს, თუ, რა თქმა უნდა, უცხოური ვარიანტი არ გამოჩნდა. როგორც „ბასკოს" ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ განაცხადა, ასეთ შემთხვევაში ბექანიშვილს ხელი არ შეეშლება. მისივე თქმით, ვაკოს ბათუმში გადმობირებაში უდიდესი როლი ითამაშა მეგობრობის ფაქტორმა. „ბასკოს" ადრინდელ შენაძენთაგან მამუკა აბრამიძე, ვალერი კილაძე, ირაკლი მაისურაძე და ალეკო დავითულიანი ის ბიჭები არიან, რომელთა მხარდამხარ ბექანიშვილს წლების მანძილზე უბურთავია, კლუბშიც და ნაკრებშიც. ბუნებრივია, მხარეები პირობებზეც შეთანხმდებოდნენ, მაგრამ ჯობს ის ვთქვათ, რომ ამ გარიგების შედეგად „ბასკოს" ამბიციურობა თავიდანვე ერთიორად იმატებს. ბათუმლებმა საკმაოდ ძლიერი გუნდი შეკრეს და ალბათ თავიდანვე მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ. დებიუტანტობის კვალობაზე რა გინდა, რომ თქვა...

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ ბექანიშვილმა გასული წელი რუსეთში გაატარა, სეზონი პერმის „ურალ გრეიტში" ჩაამთავრა და მერე აქეთ გამოსწია. ეს დიდად დააჩქარა იმ დროს კლუბში შექმნილმა ვითარებამ, „ურალ გრეიტი" მწვრთნელმა და ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ, მათ შორის ვაკომაც დატოვა. პერმში დაბრუნების იმედი ქართველს კიდევ ჰქონდა, მაგრამ მთავარ მწვრთნელად სერგეი ბელოვის დანიშვნის შემდეგ ეს საქმე საბოლოოდ ჩაიშალა. სულ ბოლოს ჩვენებურს ასევე რუსულ კლუბ, „ხიმიკში" გადასვლის შანსი გამოუჩნდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვაკო ბათუმელთა წინადადებას დაყაბულდა.

გიორგი ბიკაშვილი



ვლადიმერ ბექანიშვილი

ფრენბურთი

# ხორვატია — იტალიის ბედისწერა

Campionato Europeo Pallavolo femminile ITALIA '99

იტალიაში, ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. როგორც ვვარაუდობდით, ფინალში ფავორიტებად მიჩნეული რუსები გავიდნენ. ნიკოლაი კარპოლის გოგოებმა გერმანელებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს, სამი პარტია იოლად მოუგეს — 25:14, 25:9, 25:16 და, ცხადია, მატჩშიც იმარჯვეს. ასევე ფავორიტებად აღიარებულმა იტალიელებმა ფინალში გასასვლელად ხორვატებთან კი იომეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ. პირველ პარტიაში 22:25 დამარცხების მერე ზედიზედ ორჯერ მოიგეს (25:16, 25:22), თუმცა მეოთხეში ისევ ხორვატებმა გამოიღეს ხელი (25:23) და გამარჯვებულის ვინაობაც ბოლო, მეხუთე პარტიაში გაირკვა. ქომაგთაგან შეგულიანებული მასპინძლები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ხორვატებმა ფინალის საგზური ცხვირწინ ააცალეს (15:13) და დღეს ოქროს მედლებისთვის რუსებს შეებრძოლებიან. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ხორვატებმა იტალიელები იაპონიის შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაამწარეს.

გუშინვე გაიმართა ის მატჩები, რომელთაც მეხუთე-მეშვიდე ადგილებისთვის მოცილენი უნდა გაერკვია. რუმინელმა და ჰოლანდიელმა ქალებმა ერთნაირი ანგარიშით 3:1 დაამარცხეს, შესაბამისად, ბულგარელები და პოლონელები. მეხუთე ადგილისთვის სწორედ ისინი იბრძოლებენ. დამარცხებულთა შორის გამარჯვებული კი მეშვიდეობას დასჯერდება.

ქახა ხურციძე



იტალიელ და ხორვატ ფრენბურთელ ქალთა შეყრა წლეულსაც იტალიელთა დამწუხრებით დასრულდა

**რომი. 24 სექტემბერი**

მეხუთე-მეშვიდე ადგილებისთვის

რუმინეთი — ბულგარეთი 3:1 (25:22, 25:21, 21:25, 25:22)
ჰოლანდია — პოლონეთი 3:1 (29:27, 22:25, 25:23, 25:23)

ნახევარფინალი

იტალია — ხორვატია 2:3 (22:25, 25:16, 25:22, 23:25, 13:15)
რუსეთი — გერმანია 3:0 (25:14, 25:9, 25:16)

# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან"*** ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული".*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. I ტური. 22-23 სექტემბერი

### A ჯგუფი

**შოლე 64:73 ბენეტონი**

შოლე: ჩაილდრესი (7), დიუბო (11), ევოდო (8), კარავალია (11), გოტიე, ჰეიესი (14), ჟანო, მილერი (13)

ბენეტონი: ბულერი (3), დი სპალატრო, მარკონატო (11), ნეესი, ნიკოლა (19), პიტისი (11), სანტოსი (12), შეპარდი (15), ტრაინა (2)

**ცრვენა ზვეზდა 65:64 პაოკ**

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (9), ბოშკოვიჩი (3), იესტრატიევიჩი (12), ლუკოვსკი (8), რადმანოვიჩი (10), რაკოჩევიჩი (22), სტანოევიჩი (1), ტოპალოვიჩი

პაოკ: ალექსანდერი (14), ბაზარევიჩი (4), კოლდებელა (10), ედვარდსი (17), იანულისი (9), მასლარინოსი (4), პრელევიჩი (2), ვეტულასი (4)

**ბარსელონა 75:67 ცსკა**

ბარსელონა: ალსტონი (7), დე ლა ფუენტე, დიგბო (13), დუენიასი (8), ელსონი (2), გასოლი (2), გოლდვაიერი (27), გუროვიჩი (10), ნავარო (6), როდრიგესი

ცსკა: ალანოვიჩი (10), დაინეკო (15), დომანი (3), ეინიკისი (5), კარასიოვი (8), კირილენკო (4), კუდელინი (8), პანოვი (8), სკელინი (4), ტიხონენკო (2)

### B ჯგუფი

**ჟალგირისი 66:82 პანათინაიკოსი**

ჟალგირისი: ბეკი (3), ჰენრი (6), მასიულისი, შესტოკასი (20), სტუმბრისი (2), ტიმინსკასი (17), ზიდეკი (7), ე. ჟუკაუსკასი (11), მ. ჟუკაუსკასი

პანათინაიკოსი: ბოდიროგა (16), ბუდურისი, ბერკი (9), ფოცისი (5), კალაიძისი (2), კატაში (13), კოხი (3), რებრაჩა (17), როჯერსი (17)

**ოლიმპია 73:63 რეალი**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (9), ბრეჟეცი (4), გოლემაცი (4), იასიკევიჩუსი (7), კოტნიკი (3), კოვაჩიჩი (22), მილაჩიჩი, მილიჩი (17), ზადრავეცი (4), ზდოვცი (3)

რეალი: ა. ანგულო (4), ლ. ანგულო, ჯორჯევიჩი (6), გალილეა (7), გნადი, ერეროსი (17), იტურბე (2), ლარსენი (11), სკოტი (10), სტრიულენსი (6)

**თოფაში 76:66 ალბა**

თოფაში: გრიფიტი (18), ქონუქი (3), ოქური (4), ფარსი, რიმაცი (19), რივერსი (20), როჯერსი (6), ილმაზი (6)

ალბა: ალექსისი (13), ბაეკი, ბოგოევიჩი (10), ფემერლინგი (13), ჰამინკი (2), კინგი (18), ოკულაია (6), პაპიჩი, როდლი (4)

### C ჯგუფი

**ულქერი 73:80 ვილერბანი**

ულქერი: ალენი (18), აიდინი, ერდენაი (15), კოტუროვიჩი, ოზთურქი (2), რენვინი (13), რობინსონი (2), სარიჯა (16), თოფსაკალი (1), ილდირიმი (6)

ვილერბანი: ბილბა (5), ბლომი, ლარანიაგა (14), ლოვერნი (2), მაქსი (25), პერსევო (5), პლუვი, სილსი (17), სონკო (12)

**ოლიმპიაკოსი 65:63 მაკაბი**

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა, დე მიგელი (9), გრანტი (10), მორისი (8), პაპანიკოლაუ (8), რობინსონი (8), ტარლაჩი (6), ტომიჩი (11), ვუკჩევიჩი (5)

მაკაბი: ბრისკერი, კომეგისი (6), ჰენფელდი (2), ჰაფმანი (17), ჯამჩი (18), მაკდონალდი (11), პოპა, შარფი, შეფერი (9), შელეფი

**პივოვარნა 73:83 ვარეზე**

პივოვარნა: დრაგშიჩი (10), გილიჩი (6), გოლოვიცი (25), ჰაფნარი (6), იურაკი (3), კუნცი (4), ლისიცა (10), ნახბარი (9), ჟარკოვიჩი

ვარეზე: ალენი (10), ფოიერა (1), მენეგინი (20), პოცეკო (22), სანტიაგო (9), სეკუნდა (11), ვესკოვი (8), ვუხერერი (2)

### D ჯგუფი

**კახა სან ფერნანდო 62:43 ეფესი**

კახა სან ფერნანდო: კარგოლი (2), კორალესი, ფერნანდესი, ფორტიე (2), რომერო (9), სკოტი (13), სმიტი (13), სოლანა (4), ტერნერი (19)

ეფესი: ბეშოქი (7), დრობნიაკი (5), ჯეკსონი (8), ქუთლუაი (15), მულაომეროვიჩი, ონანი, თურქოღლუ (8), ვექილოღლუ

**ფორტიტუდო 92:78 ციბონა**

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (28), ფუჩკა (12), გალანდა (9), გაი (7), კარნიშოვასი (13), იარიჩი, მაიერსი (21), პილუტი (2)

ციბონა: ალიპოჯიჩი (7), ანდერსონი (7), გირიჩეკი (32), კრსტიჩი (5), მარცელიჩი (5), ნიჩევიჩი, პრკაჩინი (8), სარლია (3), სესარი (11)

**ბუდუჩნოსტი 68:71 პო ორტეზი**

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (10), ბულატოვიჩი (7), კუზმანოვიჩი (4), პაიოვიჩი (3), რადონიჩი (3), შჩეპანოვიჩი (8), ტომაშევიჩი (21), ტოპიჩი (12)

პო ორტეზი: კალაბრია (11), ფატუ (7), დ. გადუ (2), ტ. გადუ (13), გულიაში (12), მაზინგი (10), რიზაშე (11), ტეილორი (5), ჩილოემბა

| A ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბენეტონი | ● | 11.11 | 7.10 | 20.10 | 16.12 | 3.11 | 1 | 0 | 73:64 | 2 |
| 2 | ბარსელონა | 30.09 | ● | 8.12 | 28.10 | 75:67 | 17.11 | 1 | 0 | 75:67 | 2 |
| 3 | ცრვენა ზვეზდა | 18.11 | 20.10 | ● | 65:64 | 11.11 | 16:12 | 1 | 0 | 65:64 | 2 |
| 4 | პაოკ | 8.12 | 15.12 | 4.11 | ● | 6.10 | 29.09 | 0 | 1 | 64:65 | 1 |
| 5 | ცსკა | 28.10 | 3.11 | 30.09 | 17.11 | ● | 21.10 | 0 | 1 | 67:75 | 1 |
| 6 | შოლე | 64:73 | 6.10 | 28.10 | 10.11 | 8.12 | ● | 0 | 1 | 64:73 | 1 |

| B ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | ● | 7.10 | 11.11 | 16.12 | 21.10 | 4.11 | 1 | 0 | 82:66 | 2 |
| 2 | ოლიმპია | 18.11 | ● | 21.10 | 11.11 | 73:63 | 16.12 | 1 | 0 | 73:63 | 2 |
| 3 | თოფაში | 30.09 | 9.12 | ● | 76:66 | 28.10 | 18.11 | 1 | 0 | 76:66 | 2 |
| 4 | ალბა | 27.10 | 30.09 | 4.11 | ● | 18.11 | 20.10 | 0 | 1 | 66:71 | 1 |
| 5 | რეალი | 9.12 | 4.11 | 16.12 | 7.10 | ● | 30.09 | 0 | 1 | 63:73 | 1 |
| 6 | ჟალგირისი | 66:82 | 28.10 | 7.10 | 9.12 | 11.11 | ● | 0 | 1 | 66:82 | 1 |

| C ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვარეზე | ● | 9.12 | 16.12 | 7.10 | 30.09 | 3.11 | 1 | 0 | 83:73 | 2 |
| 2 | ვილერბანი | 21.10 | ● | 10.11 | 16.12 | 4.11 | 7.10 | 1 | 0 | 80:73 | 2 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 27.10 | 30.09 | ● | 65:63 | 18.11 | 8.12 | 1 | 0 | 65:63 | 2 |
| 4 | მაკაბი | 18.11 | 28.10 | 4.11 | ● | 21.10 | 30.09 | 0 | 1 | 63:65 | 1 |
| 5 | ულქერი | 11.11 | 73:80 | 7.10 | 9.12 | ● | 28.10 | 0 | 1 | 73:80 | 1 |
| 6 | პივოვარნა | 73:83 | 17.11 | 20.10 | 11.11 | 16.12 | ● | 0 | 1 | 73:83 | 1 |

| D ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სან ფერნანდო | ● | 7.10 | 11.11 | 28.10 | 9.12 | 62:43 | 1 | 0 | 62:43 | 2 |
| 2 | ფორტიტუდო | 18.11 | ● | 27.10 | 8.12 | 92:78 | 29.09 | 1 | 0 | 92:78 | 2 |
| 3 | პო ორტეზი | 30.09 | 15.12 | ● | 3.11 | 7.10 | 8.12 | 1 | 0 | 71:68 | 2 |
| 4 | ბუდუჩნოსტი | 16.12 | 20.10 | 68:71 | ● | 10.11 | 17.11 | 0 | 1 | 68:71 | 1 |
| 5 | ციბონა | 21.10 | 4.11 | 18.11 | 30.09 | ● | 27.10 | 0 | 1 | 78:92 | 1 |
| 6 | ეფესი | 4.11 | 10.11 | 20.10 | 6.10 | 15.12 | ● | 0 | 1 | 43:62 | 1 |

# თქვენთვის მცალია, თქვენთვის — არა!

## პატივისცემით, ღმერთი

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „მწვანე ჯოჯოხეთში". ხვალ ყველანი დაიღუპებით. ერთადერთი, ვისაც თქვენი გადარჩენა შეუძლია, ვარ მე, მაგრამ ხვალ საქმეები მაქვს, თქვენთვის არ მცალია... პატივისცემით, ღმერთი". აი, ასე. ლიუბლიანის „ოლიმპიას" ფანები მკრეხელობასაც არ მოერიდნენ და მადრიდის „რეალს" ევროლიგის პირველი ტურის მატჩის წინა დღეს ამ სიტყვებით შეეგებნენ. „მწვანე ჯოჯოხეთი" კი იმას ნიშნავს, რომ ლიუბლიანა მწვანეში ჩაფლული ქალაქია, „ოლიმპია" მწვანე ფორმით თამაშობს და ნახეთ, რა დღე დაგაყაროთო...

„რეალისთვის" პირველი ტაიმი სულაც არ გამოდგა ჯოჯოხეთური, „ოლიმპია" შესვენებაზე ქულიანი უპირატესობით წავიდა (33:32), მაგრამ გაცილებით ლაღად და სწრაფად თამაშობდა. გუნდს შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ უკანახაზელი იურე ზდოვცი შემორჩა, რომელიც იძულებულია გზა ახალგაზრდებს, კერძოდ, სანი ბეჩიროვიჩს და ლიტველ შარუნას იასიკევიჩუსს დაუთმოს. სწორედ ამ ორმა აათამაშა „ოლიმპია" და დაჩრდილა „რეალის" უკანა ხაზი, სადაც 18 წუთით იუგოსლაველი ალექსანდრ ჯორჯევიჩიც გამოჩნდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა და ალბერტო ანგულოს და ხოსე ლუის გალილეას შეატოვა საქმე.

„რეალი" ძლიერი წინა ხაზით აწონასწორებდა თამაშს. ამერიკელი ბრენტ სკოტი, დანიელი მიკელ ლარსენი და ბელგიელი ერიკ სტრიულენსი საიმედოდ აკონტროლებდნენ ორივე ფარის მისადგომებს. შეტევაში ამით სარგებლობდა სნაიპერი ალბერტო ერეროსი და ქულებს აგროვებდა. ამის შემხედვარე ლიუბლიანელების წინა ხაზი გამოფხიზლდა და მადრიდელთა ჯოჯოხეთიც დაიწყო: ხორვატი ცენტრი ემილიო კოვაჩიჩი ფარქვეშ კარუსელივით დატრიალდა, ხოლო „ფინიქს სანზადან" შინ მიბრუნებული ფორვარდი მარკო მილიჩი ძალზე აგრესიულად და ზუსტად ათამაშდა (ცხრა ნასროლიდან რვა ჩააგდო). ღმერთმა, ეტყობა, მართლა ვერ მოიცალა „რეალისთვის", თორემ სტრიულენსს ათი ნასროლიდან შვიდი არ გაუცუდდებოდა, ხოლო ჯორჯევიჩმა ბოლოს როდის ააცილა სამიდან სამივე სამქულიანი, ვეჭვობ, ვინმეს ახსოვდეს.

ღმერთმა მაპატიოს მისი სახელის ასე ხშირად ხსენება, მაგრამ „რეალისთვის", ალბათ, იმიტომ ვერ მოიცალა, რომ ვენაში ბრძანდებოდა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთვის" უნდა მიეხედა. იუგოსლავიური გუნდი საშინაო თამაშებს ავსტრიის დედაქალაქში მართავს და მისი პირველი სტუმარი თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა დამლახვრელების ტანმაღალი თანაკლუბელები, სალონიკის პაოკ-ის კალათბურთელები იყვნენ. პირველ ტაიმში ბერძნები ბატონობდნენ (ტაიმი 34:29 მოიგეს), „ცრვენა ზვეზდას" მოთამაშეები კი დაბნეულები იყვნენ, ბევრი ბურთი უაზროდ დაკარგეს. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა, უკანახაზელმა იგორ რაკოჩევიჩმა თანაგუნდელები დაცვაში დარაზმა, რისი წყალობითაც უკვე იუგოსლაველები დაწინაურდნენ. დამთავრებამდე 16 წამით ადრე ანგარიშში 64:64 იყო. რაკოჩევიჩმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და პაოკ-მა შეტევა დაიწყო. ბოლო ბურთი ამერიკელმა ედვარდსმა ესროლა და... მსოფლიო საზოგადოებისგან, გაეროსგან, ნატოსგან და ყველსგან შერისხული იუგოსლაველები ღმერთმა შეიწყალა — ედვარდსის ნასროლი რგოლს მოხვდა და საფინალო სირენისთანავე მოედანს დაუბრუნდა.

თელ ავივის „მაკაბიმ" იმისთანა მოთამაშე დაკარგა, მთელ თუ არა, ნახევარ გუნდს რომ უღირს. საუბარია ოდედ კატაშზე, რომელიც „პანათინაიკოსმა" გადაიბირა. მისი ყოფილი გუნდი საბერძნეთს ეწვია და „ოლიმპიაკოსს" შეეჭიდა. კატაშის ნაცვლად „მაკაბიმ" ლიუბლიანის „ოლიმპიას" ყოფილი ამერიკელი გამთამაშებელი არიელ მაკდონალდი იყიდა. ამ კაცმა, ისევე როგორც მთელმა გუნდმა, კარგად ითამაშა დაცვაში, მაგრამ თანაგუნდელთა უმრავლესობის მსგავსად, შეტევაში თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ებრაელთაგან მხოლოდ 38 წლის დორონ ჯამჩი ისროდა კარგად (შვიდიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო), დანარჩენები კი ამ მხრივ მეტად უმწეონი იყვნენ. „ოლიმპიაკოსის" დაბალი შედეგიანობა კი „მაკაბის" ზონური დაცვის ბრალია.

კატაში კი „პანათინაიკოსთან" ერთად კაუნასს ეწვია და შარშანდელი ევროლიგის ჩემპიონ „ჟალგირისს" დაუპირისპირდა. მართალია, „ჟალგირისმა" სეზონთა შორის ოთხი კალათბურთელი დაკარგა, მაგრამ შარშანდელთან შედარებით ამისთანა სხვაობა მაინც ნამეტანია. იმ დღეს მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო — „პანათინაიკოსი", რომლის წინა ხაზმაც (ბოდიროგა-რებრაჩა-როჯერსი) მთლად წალეკა მეტოქე. ბერძნები პირველივე წუთიდან დაწინაურდნენ (პირველი ტაიმი 37:28 მოიგეს) და თამაშიდან ნასროლი ბურთების 57 პროცენტი ჩააგდეს. ლიტველთათვის კი ეს მაჩვენებელი 39 პროცენტი იყო. პირველი ტურის მერე დასკვნების გამოტანა, ცხადია, ნაადრევია, მაგრამ ამ თამაშით „ჟალგირისი" ტიტულს ვერ შეინარჩუნებს, ხოლო „პანათინაიკოსის" შემადგენლობის, მწვრთნელის (ჟელკო ობრადოვიჩი) და სათამაშო სტილის პატრონს როგორ უნდა დაუსახო ევროლიგის მოგებაზე ნაკლები ამოცანა?!

პირველი ტური ასპროცენტიანი შედეგებით დაასრულეს იტალიურმა კლუბებმა. ობრადოვიჩის ნაშეგირდალმა „ბენეტონმა" სტუმრად იოლად სძლია ფრანგულ „შოლეს", რომელსაც აკლდა მხარნატკენი გამთამაშებელი ტაიუს ედნი. იტალიელები გამუდმებით წინ იყვნენ, მასპინძლებს ერთხელ მიეცათ დაწინაურების შანსი, მაგრამ ბენეტონელმა ჯეფ შეპარდმა გადამწყვეტი სროლების შესრულება იკისრა და თავისიანებს მოაგებინა. ისე, მანამდე შეპარდმა ექვსიდან ერთადერთი სამქულიანი ჩააგდო.



ბუდუჩნოსტი — პო ორტეზი 68:71. ბუდუჩნოსტელი მილენკო ტოპიჩი ტიერი გადუს (№8) ეღობება

იტალიის ჩემპიონ „ვარეზეს" უმძიმესი ბრძოლა გადახდა სლოვენიის პროვინციულ ქალაქ ლაშკოში, სადაც ადგილობრივ „პივოვარნასთან" პირველი ტაიმი 37:50 წააგო, ხოლო მეორე ნახევრის დაწყებისთანავე 39:53 ჩამორჩებოდა. ლაშკოელთა თავზე შავი ღრუბლები ნელ-ნელა იყრიდა თავს: ჯერ იყო და, მათგან მხოლოდ გოლოვიცი თუ ჩააგდებდა და იტალიელები ექვსი ქულითაც წამოეპარნენ (59:53), მერე კი „ვარეზემ" 15:2 მოიგო ერთი მონაკვეთი და 68:61 დაწინაურდა. იტალიელმა ჯანმარკო პოცეკომ მეორე ტაიმში 18 ქულა გააკეთა, ხოლო ანდრეა მენეგინმა ყველა ნასროლი ორქულიანი ჩააგდო. მესამე იტალიურმა გუნდმა „ფორტიტუდომ" (ყოფილი „ტიმსისტემი") ხორვატიის „ციბონას" მოუგო.

ეს რა ქნა სტამბოლის „ეფესის" ხელმძღვანელობამ, როგორ მოახერხა რამდენიმე თვეში სწრაფი, ლაღი და მოქნილი გუნდისგან, ტლანქი, ზანტი და უნიათო ნაყარ-ნუყარის შექმნა? ეს მოიტანა ძველი „ეფესის" ტვინის და გულის, მაკედონიელი პეტერ ნაუმოსკის ვერშენარჩუნებამ, წამყვანი მოთამაშეების დათხოვნამ, სუსტი ახალგაზრდების აყვანამ და ჭირვეულ იბრაჰიმ ქუთლუაიში ლამის ორი მილიონი დოლარის უაზროდ მიფშვნამ. ქუთლუაი რომ მხოლოდ თურქეთის მასშტაბის ვარსკვლავია, „კახა სან ფერნანდოსთან" მატჩმაც დაადასტურა: ცხრიდან ხუთი ორქულიანი და სამიდან ერთი სამქულიანი აშკარად არ შეესაბამება მასში გადახდილ ფულს. რაც მთავარია, ქუთლუაის არ შეუძლია ის, რაც შეეძლო ნაუმოსკის — ლიდერობა, არადა, იგი სწორედ ამისთვის იყიდეს. უსუსტესი იყო ნაუმოსკის შემცვლელი, ხორვატი გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი: ორი ორქულიანიდან, შვიდი სამქულიანიდან და ორი საჯარიმოდან — ნული ქულა (!).

შინ დამარცხდა სტამბოლისვე „ულქერიც", რომელიც მეორე ტაიმის შუაში გატეხა „ვილერბანმა". თურქეთს ნამუსი ქვეყნის ჩემპიონმა „თოფაშმა" შეუნახა, რომელმაც ლეგიონერების, ამერიკელების გრიფიტისა და რივერსის, აგრეთვე ხორვატი რიმაცის წყალობით მოუგო გერმანულ „ალბას".

საკმაოდ მოღონიერებული ცსკა „ბარსელონას" სტუმრობდა და ტაიმი ცხრა ქულით (41:32) მოიგო. მეორე ტაიმში რუსთა უპირატესობამ 12 ქულას მიაღწია. „ბარსამ" სწრაფად შეცვალა ტაქტიკა, პერსონალურის ნაცვლად ზონური დაცვა დააყენა და არმიელთა გაჭირვებაც დაიწყო. დამთავრებამდე 8 წუთით ადრე ამერიკელმა ენტონი გოლდვაიერმა 52:50 დააწინაურა „ბარსელონა", რომელმაც მატჩის ბოლომდე უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

**მერაბ რატიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლინდსის არავის ეშინია

ტოკიო. იაპონია. „პრინცესას თასი“. ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $

**მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) 6:1, 6:1; მონიკა სელეში (2, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) 6:2, 6:0; აი სუგიამა (8, იაპონია) — ჟული ალარი (3, საფრანგეთი) 6:2, 7:5; ეპი ფრეზერი (7, აშშ) — ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) 6:0, 6:4**

ჩოგბურთელთა უმეტესობას ერთი და იგივე მეტოქესთან დამარცხების შემდეგ კომპლექსი უჩნდება და მომდევნო შეხვედრებზეც მათთან თითქოს წინასწარ წასაგებად განწირული გამოდის. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას რიჩარდ კრაიჩეკის მუდმივი წარუმატებლობები სედრიკ პიოლინთან, პატრიკ რაფტერისა — ნიკოლას კიფერთან.

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა ლესბოსელ ფრანგ ამელი მორესმოსთან პირველი ორი პირადი შეხვედრა დათმო, მათ შორის წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში, მაგრამ მეტოქის შიში, ზემოხსენებულთაგან განსხვავებით, არ გასჩენია.

„იმ შეხვედრებმა ბევრი რამ მასწავლა. ვფიქრობ, შესანიშნავია, რომ წაგების შემდეგ, რამდენად საწყენიც არ უნდა იყოს იგი, ყველაფერს რეალურად შეაფასებ და მომდევნო მატჩს დაზაფრული კი არა, წინასწარ მომზადებული გეგმით შეხვდებით“ — აღნიშნა ლინდსიმ მეოთხედფინალის შემდეგ.

ამჯერად 20 წლის მორესმოს დევენპორტმა აგრესიული ტაქტიკა დაუხვედრა და არანაირი შანსი არ დაუტოვა: მატჩის მესამე გეიმში მეტოქისთვის მოწოდებისართმევის მერე უკან აღარ მოუხედავს, მძლავრი დარტყმები სულ „ცხრიანებში“ მიმოაბნია და ერთ საათზე ნაკლებში გაიმარჯვა.

გაახარა თანამემამულეები იაპონიის პირველმა ჩოგანმა აი სუგიამამ. ჩია და წვრილ თვალება აის მატჩი ფრანგ ჟული ალართან (3) წვიმის გამო 45 წუთით შეწყდა — სწორედ ამდენი წაიღო სტადიონისთვის უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილი მოძრავი სახურავის გადაფარებამ და სველი კორტის გამშრალებამ.

თუმცა თავისიანთა მხურვალე მხარდაჭერით შეგულიანებულ სუგიამას უდროო შესვენებამაც ვერაფერი დააკლო და ვეებერთელა დარბაზად ქცეულ კორტზეც ასევე წარმატებით დაასრულა დაწყებული საქმე — 6:2, 7:5.

მაყურებელთა ქომაგობა აის არც ნახევარფინალში აწყენდა — მისი მეტოქე ხომ ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი მონიკა სელეში იქნება. მონიკა ტოკიოში მეტისმეტად გადაღლილი, უძინარი და თანაც დაშავებული მარჯვენა ფეხით ჩავიდა, მაგრამ ამას მისთვის კონჩიტა მარტინესის 17-დან მე-16 პირად შეხვედრაში დამარცხებაში არ შეუშლია ხელი.

აი, ვის უნდა ჰქონდეს მეტოქის კომპლექსი.



ლინდსი დევენპორტი

ლუქსემბურგი. SEAT OPEN. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 180 ათასი $

ლუქსემბურგის პირველობაზე პირველად განთესილი, წესით და რიგით, „ოუფენის“ ახალგამომცხვარი ჩემპიონი სერენა უილიამსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 17 წლის ამერიკელმა ორგანიზატორებს ბოლო მომენტში შემოუთვალა უარი.

„ძალიან მსურდა, ევროპული ტურნირების სერია სწორედ აქ დამეწყო, მაგრამ ზედიზედ სამი კვირის ასპარეზობის შემდეგ გასავათებული ვარ და თამაშის თავი ნამდვილად აღარ მაქვს“ — ასეთი გახლდათ უმცროსი უილიამსის განცხადების მოკლე შინაარსი.

მაგრამ სერენას ზერელედ მობოდიშებამ WTA ტურის წარმომადგენლები ვერ დააკმაყოფილა: შავკანიან ამერიკელს მარტო ამ სეზონში უკვე მეოთხედ უთქვამს ბოლო მომენტში ტურნირებში მონაწილეობაზე უარი. მოქმედი წესებით, WTA-ის თავკაცობა სერენას ალბათ 16 ათასი დოლარით დააჯარიმებს, თუმცა ჯიბესქელ მილიონერს ეს ნამდვილად ვერ დააფრთხობს.

თავად ტურნირი კი მცირეწლოვან ჩოგბურთელთა ნაკლებობას სერენას არყოფნაში სულაც არ განიცდის — პაწაწინა ქვეყანაში ერთბაშად რამდენიმე ამომავალმა ვარსკვლავმა მოასწრო თავის გამოჩენა.

16 წლის ბელგიელები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენი ავტორიტეტებს დიდი ხანია, აღარ უფრთხიან და ეს ლუქსემბურგშიც დაამტკიცეს. კლაისტერსმა მერვედფინალში გერმანელ ანკე ჰუბერს (5) აჯობა 6:1, 6:4; ენენმა კი ელენა კოსტანიჩს მოუგო 6:0, 2:6, 6:1.

წარმატებული გამოდგა პროფესიონალურ სარბიელზე 16 წლის რუსი ლინა კრასნარუცკაიას დებიუტიც. კრასნარუცკაიამ, რომელიც იუნიორებში წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი და უიმბლდონის ფინალისტი გახლავთ, მეოთხედფინალის საგზური გამოცდილი მაგდალენა მალეევას 3:6, 7:5, 6:2 ძლევით გაიფორმა.

**მეორე წრე: დომინიკ ვან რუსტი (2, ბელგია) — ანა-გეილ სიდო (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:4; სილვია ფარინა (6, იტალია) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:1, 6:4; ელს კალენსი (ბელგია) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 7:6 (8:6), 6:3; საბინე აპელმანსი (ბელგია) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4**

REUTERS ტოკიოდან



აი სუგიამა



სერენა უილიამსი

ბადრი კვირიკაშვილის ფოტო



ევგენია კულიკოვსკაია

# ახალი ტურნირი ძველი სახეების გარეშე

დასაწყისი პირველ გვერდზე

სამწუხაროდ, წლეულს აღარ იკადრეს ჩვენთან ჩამოსვლა ძველმა ნაცნობებმა ჩრდილო სამეზობლოდან — ტურნირის შარშანდელმა ფინალისტებმა ევგენია კულიკოვსკაიამ და ელენა მაკაროვამ, ასევე 17 წლის ამომავალმა ვარსკვლავებმა ელენა დემენტიევამ და ანასტასია მისკინამ.

წინა „ქართუს“ პირველობის შემდეგ მისკინამ სულაც WTA ტურნირის მოგება მოასწრო პალერმოში, კლასიფიკაციის მეშვიდე ათეულში აღზევებულმა დემენტიევამ კი რამდენიმე დღის წინ ფედერაციის თასის ფინალში თვით მსოფლიოს მესამე ჩოგანი ვინუს უილიამსი დაამარცხა და რაღა გასაკვირია, თუ როგორც ლეილა მესხმა თქვა, ჩვენი პატარა პირველობა უკვე დაბალი დონისად მიიჩნიონ.

რაც შეეხებათ ქართველ ჩოგბურთელებს, ძირითად ბადეში მოხვედრა პირდაპირ მხოლოდ კლასიფიკაციით 317-ე ნინო ლუარსაბიშვილმა მოახერხა, დანარჩენებს კი სარეიტინგო ქულების არქონის გამო „უაილდ ქარდების“ გამოყენება მოუხდებათ.

ამ უქმეებზე საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩები ჩატარდება, ძირითადი ბადის შეხვედრები ორშაბათს დაიწყება, ფინიში კი შაბათისთვისაა დაგეგმილი, თუ რა თქმა უნდა, ბოლო ხანებში თბილისს შეჩენილი უჟმური ამინდები არ შეუშლის ხელს.

# ჰოპ! ევგენი გაბითურდა

REUTERS ბრისბენიდან



უეინ არტურს გამარჯვებას პატრიკ რაფტერი (მარცხნივ) ულოცავს

## დევისის თასის ნახევარფინალი

**ავსტრალია 2:0 რუსეთი**

ევგენი კაფელნიკოვს, ეტყობა, არასოდეს გაუგონია ერთი ფრიად ბრძნული გამოთქმა — ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახეო.

„რა მოხდება, თუ პირველ დღეს ერთეულთა ორივე შეხვედრას წავაგებთ? ასეთი კითხვა საერთოდ არ უნდა მოგსვლოდათ თავში, რადგან ეს გამორიცხულია. ავსტრალიას ძალიან გაუმართლებს, თუ პარასკევის შემდეგ ანგარიში 1:1 იქნება“ — ეს განცხადება სოჭელმა ჟენიამ დევისის თასის ნახევარფინალური შეხვედრის წინ გააკეთა, თანაც მრავალგზის დაიქადნა, მასპინძლებისგან ქვას ქვაზე არ დავტოვებო.

მაგრამ, მარტო სიტყვების ბრახაბრუხი წარმატების გარანტია რომ არ არის, ალბათ, ყველას კრაგად მოგეხსენებათ. ჰოდა, რუსეთის დევისის თასის ნაკრებიც ამჟამად თითქმის გამოუვალ სიტუაციაშია ჩავარდნილი.

სტუმრების განადგურება 18 წლის ლეიტონ ჰიუიტმა დაიწყო, რომელმაც თავისზე ერთი წლით უფროს მარატ საფინს 7:6 (7:0), 6:2, 4:6, 6:3 აჯობა.

მერე კი კაფელნიკოვისგან ჩამოწერილი უეინ არტურსის ჯერიც დადგა, რომელმაც ჟენიაზე თამამი განცხადებებისთვის საქმით იძია შური, 6:2, 6:7 (4:7), 6:2, 6:0 მოიგო, თანაც მთელი მატჩის მანძილზე მოწოდება ერთხელაც არ დაუკარგავს.

სოჭელმა კი ბრაზი მხოლოდ ბრისბენის ANZ-ის სტადიონის ბალახის საფარზე გადმოანთხია: „აქ თამაში უბრალოდ მიუღებელია ასეთი დონის მატჩებისთვის, ავსტრალიელებს საამაყო არაფერი აქვთ. მე ცხოვრებაში ყველაზე საზიზღრად ვითამაშე, მაგრამ კორტი კარტოფილის ბოსტანს უფრო ჰგავდა“.

**ავთანდილ სვანიძე**

# კულჰარდი: ასი თუ ასისტენტი?

**F1** [illegible] **ევროპის დიდი პრიზი**

**ნიურბურგრინგი**

*ნიურბურგი, 26 სექტემბერი*




| | |
|---|---|
| **ტრასის სიგრძე** | **4.556 კმ** |
| **რბოლის დისტანცია** | **67 წრე — 305.235 კმ** |

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები** (ლუქსემბურგის დიდი პრიზი)

1. ჰაკინენი (მაკლარენი), მ. შუმახერი (ფერარი), კულჰარდი (მაკლარენი), ირვინი (ფერარი), ფრენცენი (უილიამსი), ფიზიკელა (ბენეტონი)

**„ევროპის“ წინა წლების პრიზიორები**

1993 (დანინგტონი) — სენა (მაკლარენი), ჰილი (უილიამსი), პროსტი (უილიამსი)

1994 (ხერესი) — მ. შუმახერი (ბენეტონი), ჰილი (უილიმსი), ჰაკინენი (მაკლარენი).

1995 (ნიურბურგრინგი) — მ. შუმახერი (ბენეტონი), ალეზი (ფერარი), კულჰარდი (უილიამსი).

1996 (ნიურბურგრინგი) — ვილნევი (უილიამსი), მ. შუმახერი (ფერარი), კულჰარდი (მაკლარენი)

1997 (ხერესი) — ჰაკინენი (მაკლარენი), კულჰარდი (მაკლარენი), ვილნევი (უილიამსი)

| | |
|---|---|
| **ტრასის რეკორდი** | **ფრენცენი 1:16.602 (უილიამსი, 1997)** |

ევროპის დიდი პრიზი აქა-იქა რბილია — არც რეგულარულად ტარდება და არც ერთ რომელიმე ავტოდრომზე აქვს მიჩენილი ადგილი. თავდაპირველად ფრანგულმა „რეიმსმა“ უმასპინძლა, შემდეგ ბრიტანულმა „ბრენდს ჰაჩმა“ (ორჯერ) და „დონინგტონმა“, ორჯერაც ესპანურმა „ხერესმა“. ყველაზე მეტჯერ, სამჯერ, ეს მოხეტიალე ეტაპი „ნიურბურგრინგმა“ შეიკედლა.

ამ გერმანულ ტრასაზე შარშან და შარშანწინაც ჩატარდა რბოლა, ოღონდ ლუქსემბურგისდიდი პრიზის ეგიდით. ამ შემთხვევაში სახელს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, გინდ ევროპისა დაარქვი, გინდაც ლუქსემბურგისა, ფაქტია, რომ ეს სეზონში მეორე გერმანული ეტაპია, რაც იქ „სამეფო რბოლების“ უზომო პოპულარობაზე მეტყველებს. ეს კი, ცხადია, უმთავრესად პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი გერმანელი ჩემპიონის მიხეილ შუმახერის დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ ევროპის დიდი პრიზის მოგება ორჯერ, თანაც ზედიზედ, მხოლოდ მან მოახერხა.

ერთი კია, ხვალ ავტოდრომზე მისული გულშემატკივრები უშუმახერო „ფერარის“ ნაკლებად მიემხრობიან და მთელ თავის ემოციას ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს მოახმარენ. მართალია, ფორმულაში საკუთარი მოედნის ფაქტორი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩემპიონობის შანსის მქონე ფრენცენისთვის ასიათასზე მეტი თანამემამულის მხურვალე ქომაგობა უეჭველად დამატებითი სტიმული გახდება.

ხვალინდელი რბოლა „ნიურბურგრინგის“ ისტორიაში 29-ე იქნება. 23-ჯერ იქ გათამაშდა გერმანიის დიდი პრიზი, რომელიც სამ-სამჯერ მოიგეს — არგენტინელმა ხუან-მანუელ ფანხიომ და ბრიტანელმა ჯეკი სტიუარტმა. პირველ რბოლაში კი, 1951 წელს, ყველას იტალიელი ალბერტო ასკარის „ფერარიმ“ აჯობა. მაშინდელი უსაშველოდ გრძელი, 23-კილომეტრიანი, თანაც მეტად ხიფათიანი ტრასის მოვლა და გზის საფარის სათანადო დონეზე შენახვა ძნელიც იყო და ძალიან ძვირიც ჯდებოდა. ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ წრე ზუსტად ხუთჯერ დამოკლდა და ნაკლებ საშიშიც გახდა. თუმცა, 1976 წელს მაინც მოხდა შემთხვევა, რომელმაც კინაღამ იმსხვერპლა ლეგენდარული ავსტრიელი პილოტი ნიკი ლაუდა. თითქმის 300 კმ-სთ სიჩქარიანი მისი „ფერარი“ ჯერ ბორდიურზე შეხტა, მერე კი გზის მეორე მხარეს, ბარიერს მინარცხებული, ბურბუშელასავით აალდა. ლამის ცოცხლად დამწვარი, გონდაკარგული მრბოლი ძლივს ამოიღეს კოკპიტიდან. ექიმებს მისი გადარჩენის იოტისოდენა იმედიც აღარ ჰქონდათ და მომაკვდავს მღვდელიც კი მიუყვანეს აღსარებისთვის, მაგრამ მოხდა საოცრება და უბედნიერეს ვარსკვლავზე დაბადებულმა „რკინის“ ნიკიმ ამ ქვეყნისკენ გამოიხედა, უამრავ პლასტიკურ პრეაიცას გაუძლო და თვენახევარში რბოლებსაც დაუბრუნდა.

ხვალინდელ რბოლაში ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ კი უთუოდ გაირკვევა. „ნიურნბურგ-რინგის“ საშუალო სიჩქარიან და საშუალო სირთულის ტრასაზე „მაკლარენებს“ იმხელა უპირატესობა არ ექნებათ, როგორც, ვთქვათ, „მონცაზე“, ან „სპაზე“, მაგრამ ობიექტურად, მაინც „ფერარიზე“ მეტი შანსი რჩებათ. ხვალ იქნებ დევიდ კულჰარდის ბედი გადაწყდეს, რადგან თუ გამარჯვებას ვერ შეძლებს, დარჩენილ ორ ეტაპზე თანაგუნდელი მიკა ჰაკინენის „გაქაჩვა“ მოუწევს. შეგახსენებთ, რომ კულჰარდი 12 ქულით ჩამორჩება ლიდერებს — ჰაკინენსა და ედი ირვინს. ამ უკანასკნელს ძალიან ეიმედება თავისი „ფერარის“, რომელშიც გარკვეული ცვლილებები შეიტანეს. მათ გამოსაცდელად კი ედი მთელი კვირა მარანელოში „ფერარის“ ბინას არ მოსცილებია, იქვე ეძინა და საკუთარ თავსაც და გუნდის მთელ ინჟინერტექნიკურ შემადგენლობას მუშაობით სიქა გააცალა. საბოლოოდ ამ თვითგვემით ირლანდიელი პილოტი კმაყოფილი დარჩა და ბოლო სამ რბოლას მეტად ოპტიმისტურადაც უყურებს.

**ირაკლი ნიკოლაძე**




ხვალ ნიურბურგრინგზე დევიდ კულჰარდისა (მარცხნივ) და მიკა ჰაკინენის ურთიერთობაც გაირკვევა

## ირლანდიელის იტალიური პატრიოტიზმი

რომის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის, „ბანკა დი რომას“ შესასვლელთან ეფექტურად დაამუხრუჭა ღია ნაცრისფერმა „მერსედესმა“ და სულ მალე მანქანიდან ოვაციებისა და ფოტოაპარატების თანხლებით თვით ედი ირვინი გადმოვიდა. ირლანდიელი ხსენებულ ადგილას სუფთა კომერციულ მიზნებს მიეყვანა — „ბანკა დი რომასთვის“ სარეკლამო კლიპის გადაღება იყო დაგეგმილი. კლიპში კი ირვინზე უკეთესს აბა ვის გამოაჩენდნენ. როგორც ყოველთვის, ჟურნალისტებმა ამჯერადაც აქტიურად შეუტიეს სახელოვან ავტომრბოლს და უამრავი ცინცხალი შეკითხვები სტყორცნეს ანალოგიური პასუხების მიღების იმედით. ირვინმაც არ გააწბილა საზოგადოება და პირდაპირ განაცხადა, რომ წესით სწორედ მან უნდა მოიგოს ნიურბურგრინგში (გერმანია) გასამართი „ევროპის გრანპრი“, ხოლო ოპტიმიზმის საფუძველს „ფერარის“ კონსტრუქციაში შეტანილი ახალი სასიკეთო ცვლილებები იძლევა. ერთ თამამ განცხადებას ირვინმა მალე მეორეც მიაყოლა, როცა თქვა, მე ვიცი ჰაკინენის წამალიო. ირვინის აღმოჩენა შემდეგში მდგომარეობს: „თქვენც უეჭველად შეამჩნევდით, მიკა ხშირად ცდება, როცა რბოლისას მარტო რჩება. თუ მას ვინმე უტევს, მაშინ ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ საკმარისია თავის თავთან მარტო დარჩეს და... ერთი სიტყვით, მე ვეცდები ჰაკინენი უბრალოდ წინ გავუშვა, იგი შეცდება და მე კი ამით ვისარგებლებ“. რაც შეეხებათ დევიდ კულჰარდსა და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს, ისინი ირვინს ჩემპიონობის კანდიდატთა სიიდან უკვე ჩამოუწერია. დაბოლოს, ჟურნალისტებთან გამოთხოვებისას ირვინმა ერთი მხურვალე შეძახილიც მოასწრო: „მე უნდა მოვიგო ჩემპიონის ტიტული, რადგან ამას მრავალი ელის: იტალია, „ფერარი“, ჩვენი გუნდი და მისი გულშემატკივრებით... გამარჯვება ძნელი იქნება, მაგრამ მე მშვენიერი შანსები მაქვს“ — ამ სიტყვებით იტალიაზე გულაჩუყებული ირლანდიელი თავის „მერსედესში“ მოკალათდა და აღფრთოვანებული თაყვანისმცემლების ტაში და შეძახილები გაიყოლია.

**დავით გულუა**



# ჟაკ როგი მესამე სამყაროსთვის ზრუნავს

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტ ჟაკ როგს, რომელიც ამავე დროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია, იმედი აქვს, რომ უახლოესი ათი წლის განმავლობაში ოლიმპიურ თამაშებს აფრიკა უმასპინძლებს.

არც ერთ აფრიკულ ქვეყანაში არ ჩატარებულა ეს უდიდესი სპორტული ღონისძიება. მართალია, კეიპტაუნს სურდა 2004 წელს მისი მასპინძლობა, მაგრამ ათენთან ბრძოლაში ხელი მოეცარა.

ახლა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შორისაა შავი კონტინენტის კიდევ ერთი წარმომადგენელი — კაირო.

— ჩვენ გვსურს, ოლიმპიური თამაშები აფრიკაშიც ჩატარდეს, ამავე დროს არ გვინდა, სამხრეთ ამერიკა უყურადღებოდ დაგვრჩეს — თქვა ჟაკ როგმა.



ჟაკ როგი

იგივე სურვილი ამოძრავებს კუბის მარად ბელადს, ფილედ კასტროს.

კასტროს თქმით, მდიდარი, განვითარებული ქვეყნები არაკეთილსინდისიერად სარგებლობენ თავიანთი უპირატესობით და ხშირად მასპინძლობენ ოლიმპიურ თამაშებს.

— ჩვენ მოვითხოვთ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას და ამას ვაკეთებთ კარიბის კუნძულებისა და მთელი მესამე სამყაროს სახელით, რომელსაც არასოდეს ჰქონია ეს პატივი — ამბობს ფიდელ კასტრო — ჩვენ ამ უფლებას მოვითხოვთ თითქმის ხუთმილიარდიანი მოსახლეობის სახელით, რომელიც უგულებელყოფილია ან არ ახსოვთ. კარიბეთის, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის 350 მილიონზე მეტ მცხოვრებს არასოდეს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის. არც აფრიკას, რომლის მოსახლეობაც 700 მილიონზე მეტია.

მართლაც, ლათინურმა ამერიკამ ერთადერთხელ უმასპინძლა ოლიმპიურ თამაშებს. ეს იყო მეხიკოში, 1968 წელს.

**გიგა გურასაშვილი**



# არტეკის ქართული პიონერიადა

საბჭოთა ხანაში „არტეკი“ კომუნიზმის მშენებელთა აღზრდის ცენტრალურ პუნქტად ითვლებოდა. წლების მანძილზე ყირიმის სამხრეთ ნაწილში, იალტის ახლოს საბჭოეთის და არამარტო საბჭოეთის ყოველი კუთხიდან თავს იყრიდნენ ურჩეულესი პიონერები, ანუ ის ხალხი, ვისაც კომუნისტური პარტია თავის მომავალ ავანგარდად მოიაზრებდა მუდამ...

და იყო ერთი „საბჭოთა ხალხის, ლენინის საქმისათვის იყავ მზად!“, ფრიალებდნენ წითელი დროშები და ყელსახვევები და სალუტმომარჯვებული ბავშვები დამპალი კაპიტალიზმის სიძულვილს სწავლობდნენ. დღეს კი „არტეკის“ დიდება ბევრად უფრო ფერმკრთალია. ესაა ერთი ჩვეულებრივ კურორტი, სადაც კარგად დაისვენებ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ჯიბის სისქეც ხელს გიწყობს. მხოლოდ ჟამიდან ჟამზე თუ გახდება „არტეკი“ შედარებით ფართო აუდიტორიის ყურადღების საგანი და ერთი კვირის წინ ეს აუდიტორია ჭადრაკის მოყვარულებმა შეადგინეს, რადგან ბანაკმა ბავშვთა საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლა.

საქართველოს ნაკრები წარდგენილი იყო 16 წლამდე ასაკის 6 მოჭადრაკით (4 ძირითადი და 2 სათადარიგო), რომელთაც უკრაინაში მწვრთნელი გია მაჭარაშვილი უძღოდათ წინ. როგორც ოლიმპიადის შედეგებმა გვიჩვენა, ამ პიროვნებას გუნდის მოსამზადებლად გვარიანი მუშაობა გაუწევია როგორც ინდივიდუალურ, ასევე სანაკრებო დონეზე. ქართველმა ბავშვებმა 36 შესაძლებლიდან 23 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს და წინ მხოლოდ უკრაინის (I) ნაკრები გაუშვეს, რომლის ლიდერიც, სხვათა შორის, აქამდეც გვარიანად სახელგანთქმული რუსლან პონომარიოვი გახლდათ. უკრაინა I-მა ჯამში 24 ქულა მოაგროვა, ხოლო მესამე პრიზიორმა ჩინეთმა — 22,5. გარდა ამისა, ქართველებმა ყველას აჯობეს „მცირე“ მედლების რაოდენობით. ბაადურ ჯობავამ I დაფაზე ვერცხლი ირგუნა, აკაკი შარაშენიძემ იგივე შედეგი მე-2 დაფაზე უჩვენა, ხოლო სათადარიგო გიორგი ფარესიშვილს „მცირე“ ბრინჯაო ერგო. ზემოთ ჩვენების სანაკრებო მომზადება ვახსენეთ, რის საფუძველსაც ბოლო ტურებში მათგან ნაჩვენები შედეგებიც გვაძლევს. ოლიმპიადაზე ნაკრებები შვეიცარიული სისტემით თამაშობდნენ, რაც, მოგეხსენებათ, უკანასკნელ ტურს ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ქართველებმა ბოლოსწინა ტურში რუმინელებთან შედარებით მოკრძალებული შედეგი უჩვენეს — 2:2, ხოლო გადამწყვეტ მატჩში უკრაინის II ნაკრებს პირდაპირ ბლევირი ადინეს: 3,5-0,5 და დამსახურებული გამარჯვებაც მოვიდა!

# ქართველები ლიდერებს ეამხანაგებიან

ერევანში იუნიორ გოგონათა და ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატები მიმდინარეობს, რომლებშიც ტრადიციულად საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ: სოფო ტყეშელაშვილი, რუსუდან გოლეთიანი, სოფო ხუხაშვილი და ნინო წიტაიშვილი — გოგონებში, ვალერიან გაფრინდაშვილი, დავით არუთუნიანი, მიხეილ მჭედლიშვილი და გიორგი ბახტაძე — ჭაბუკებში. ჯერჯერობით ერევანში პარტიათა ნახევარიც არ გათამაშებულა და, მართალია, ლიდერის პოზიციაზე ჩვენებურებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, თუმცა მოწინავეთა შორის ორივეგან გვყავს წარმომადგენლები. ბერძენი მარია კუვაცუ ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ახალგაზრდა მანდილოსნებს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლიტველი სმილიტი და ქართველი ხუხაშვილი. 3,5 ქულა 4 გოგონას აქვს და ამათგან ორი ჩვენებურია — გოლეთიანი და ტყეშელაშვილი, ხოლო წიტაიშვილი მათ 3 ქულით უმნიშვნელოდ ჩამორჩება. ვაჟებში სიტუაცია ბევრად ბუნდოვანია, რადგან ჯერჯერობით ჩემპიონატს ერთდროულად 6 ლიდერი ჰყავს: 2 სომეხი, რუსი, ებრაელი, შვეიცარიელი და ჩინელი, რომელთაც 4-4 ქულა დააგროვეს. ამათ ფეხდაფეხ მისდევს მოჭადრაკეთა 10-კაციანი ჯგუფი 3,5-3,5 ქულით. ჩემპიონატებზე კიდევ 5 ტურია სათამაშო და იგი 30 სექტემბრამდე გასტანს.

**დავით გულუა**

# მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ორმოცდამეთხე

# რამდენიმე დიადი

*რახან საუკუნე ილევა, მოთხოვნაც ჩნდება — გავარკვიოთ, ერთი, ვინ არის ასწლეულის საუკეთესო მოკრივე, ამგვარი მოთხოვნა ლოგიკურია და, მრავალი საკრივო დაწესებულება ცდილობს საუკეთესო მოკრივეთა თავისუფალი სია გამოაქვეყნოს.*
*თქვენი არ ვიცი და მე კი ამ საქმეში უფრო საკრივო მედიას ვენდობი, კრივის კლასიკურ გამოცემებს. ჟურნალი „რინგი“, სხვანაირად კი კრივის ბიბლია, ამათ შორის პირველია. გასულ ზაფხულს „რინგმა“ საუკუნის ოცეულის თავისი ვერსია გამოაქვეყნა და წამსვე კითხვებიც გაჩნდა: მუჰამედ ალი პირველი და როკი მარჩიანო მეცხრე? ანდა, რატომ ჯო ლუისი მეორე? ჰენრი არმსტრონგი მეოთხე და ჯეკ დემპსი მეექვსე? რითა სჯობს ჰენრი გრები უნიკალურ არჩი მურს, ან კიდევ სტენლა კეტჩელი ხულიო სეზარ ჩავესს? მაგრამ სიაზე არ მოქმედებს მხოლოდ საკრივო სახელი. აქ დიდია საზოგადოებრივი ფაქტორი. ამიტომაც გადავწყვიტე, ეს სია რიგითი ნომრების მიხედვით განმეხილა.*
*ერთგვარად მაინც წარმოგვედგინა ამ დიად მოკრივეთა რაობა და ნამდვილი ადგილი.*




მუჰამედ ალი — ზანგთა მოსარჩლე

## ალი

ალი საუკუნის საუკეთესო მოკრივედაა აღიარებული. მისი კარიერა მოიცავს სამგზის ჩემპიონობას: 1964-67, 74-77და 78 წლებში. ჩატარებული 61 ბრძოლიდან ხუთი წაუგია და 37 ნოკაუტით მოუგია. ეს არ არის უნიკალური ციფრები. სამაგიეროდ, ორჯერ დაბრუნებული ჩემპიონობაა შთამბეჭდავი.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ალის კარიერა არ იყო იოლი. როდესაც „რინგი“ თავისი სიისთვის მკითხველთა აზრს ეცნობოდა, გამოკითხულთა 17 პროცენტმა ალის საუკეთესო მოკრივედ გამოცხადებას მისცა ხმა. აი, ესეც ძალიან შთამბეჭდავია. ამიტომ, ჩიტი ნამდვილად ღირს ბრძოლვნად. ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, რაც საყოველთაოდაა ცნობილი — ალი უნიკუმი იყო. სამყაროს ნაღდად არ ჰყოლია ასეთი დახვეწილი მოკრივე. მაგრამ ალის კარიერამ ხომ ჩვენს თვალწინ ჩაიარა? მისი ჩავარდნები ხომ საყოველთაოდაა ცნობილი? მისი არასპორტული ეშმაკობანიც აღნუსხულია. აბა, გავიხსენოთ.

ეგებ ბევრს არ ახსოვს, რომ 1963 წელს არცთუ ცნობილმა ქვემძიმეწონოსანმა დაგ ჯონსმა თავის ნებაზე აბურთავა ოლიმპიური ჩემპიონი და მხოლოდ მსაჯთა თავნებობის „წყალობით“ წააგო. სამაგიეროდ, ყველას გვახსოვს, რომ როცა ჰენრი კუპერი ცხვირპირს ამტვრევდა ალის, მისმა მწვრთნელმა ანჯელო დანდიმ განგებ გაუხვრიტა ხელთათმანი შავ დღეში ჩავარდნილ შეგირდს, რათა ბრძოლა დროებით შეეწყვიტა და ალისთვის სულის მოთქმის საშუალება მიეცა. სონი ლისტონთან მოპოვებული გამარჯვებებიც ხომ გვახსოვს და გვახსოვს. ესეც არ იყოს და დღემდე გულშემატკივართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კენ ნორტონმა ალალად გალახა იგი, ამას რომ შევეშვათ, შეიძლება 1976 წლის გახსენება, როცა ალის აშკარად აჩუქეს გამარჯვება ჯიმი იანგთან ბრძოლაში.



ჯო ლუისი

საკრივო პუბლიცისტთა უდიდესი ნაწილი არად მიიჩნევს ალის საზოგადოებრივ და სოციალურ საქმიანობას. საზოგადო ასპარეზზე მისი მოღვაწეობა, ზანგთა უფლებებისთვის ბრძოლა, შავ მუსლიმთა მქადაგებლად სულაც არ იყო ალის სულიერი მოწოდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დიდი შოუ, სარეკლამო კამპანია, რომელიც მის ბრძოლებზე ბილეთების გაყიდვას და მისი იმიჯის ჩამოქნას ემსახურებოდაო...

ჩვენ რომ ამ ლაპარაკს მოვყვეთ თვალწინ წარმოგვიდგება ერთი გაქნილი, ტრაბახა, მომხვეჭელი კაცის ხატება და დავწყევლით კრივსაც და მის მომგონსაც. აბა, რა ვუთხრათ ისეთ სპორტს, პირველკაცად რომ ამგვარი ვინმე გამოუცხადესო.

მაგრამ, მოდით, სხვაგვარად შევხედოთ საქმეს.

60-იან, 70-იან წლებში დედამიწის ზურგზე ძლიერი მძიმეწონოსანს, ალის რომ არ გაელახოს. სია? მოგართმევთ: ლისტონი, ფლოიდ პატერსონი, ჯორჯ ჩუვალო, კლივლენდ უილიამსი, ერნი ტერელი, ზორა ფოლი, ჯერი ქვორი, ოსკარ ბონავენა, ჯიმი ელისი, ბასტერ მატისი, ჯო ბაგნერი, რონ ლაილი, ერნი შეივერსი. და რა თქმა უნდა, სამი მთავარი — ჯო ფრეზერი, ჯორჯ ფორმენი და კენ ნორტონი. აი, შედეგი, რომელიც იმალება არცთუ შთამბეჭდავი ციფრული მონაცემის უკან.

ლისტონის დამმარცხებელმა ალიმ ცხრაჯერ ზედიზედ დაიცვა ტიტული და არავინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოახერხებდა ამას, ჯარში სამსახურზე უარი რომ არ ეთქვა. როგორც დეზერტირს მას ლიცენზია ჩამოერთვა 1967 წელს და სამ წელიწადშიღა მოახერხა რინგზე დაბრუნება. ის დაბრუნდა ასაკოვანი, გასუქებული, უფრო ზანტი, აღარ იყო უსწრაფესი და უნიჭიერესი მძიმეწონოსანთა შორის.

მისი შებრძოლება ფრეზერთან 1971 წელს იყო უკანასკნელი 30 წლის ყველაზე შთამბეჭდავი საკრივო სანახაობა. ორი წლის თავზე კი, კინშასაში მან, ოცდათორმეტი წლისამ, ნოკაუტში ჩააგდო ჯორჯ ფორმენი, რომელსაც ყველა „მოდერნიზებულ სონი ლისტონს“ უწოდებდა და მსოფლიო ჩემპიონობა დაიბრუნა.

უკვე ხნოვანმა სძლია ლეონ სპინქსს და მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ასეთი რამ ისტორიაში არასოდეს მომხდარიყო. ყოველგვარი სადავო კითხვების გარეშე, ალი დედამიწის ყველაზე ცნობილი სპორტსმენი შეიქნა. ის საოცრად შეეხამა ეპოქას, თანამედროვე კულტურას, გახდა მნიშვნელოვანი ვინმე ყოფაში.

და დღეს, პარკინსონით ტანჯულ, მოცახცახე და ჩურჩულით მოლაპარაკე ალის შეუძლია თავისი გამოჩენით საზოგადოებაში, თავისი სევდიანი ღიმილით ათასების მონუსვხა, მათი დაფიქრება წარსულსა და აწმყოზე. და განა ეს ბევრს ძალუძს ინდუსტრიულ ეპოქაში?

არა მგონია ამგვარი რამ მოეხერხებინათ ჯო ლუისს, ჯეკი ჯონსონს ანდა შუგარ რეი ლეონარდს. ეგებ ეს ძალუძდეთ პელეს და მაიკლ ჯორდანს.

ის კი, რაც თავში ითქვა, წაშლილია. დარჩა მხოლოდ — უდიადესი.

და ამიტომაც ალი პირველია.

## ჯო ლუისი

ჯო ლუისისა რომ არაფერი იცოდე და რადიოთი მოისმინო ის ამბავი, რომ მან 25-ჯერ დაიცვა ტიტული მძიმე წონაში და თერთმეტ წელიწადს იყო ჩემპიონი, მიხვდები ვისთან და რასთან გაქვს საქმე. ჯო ლუისმა 1937-48 წლებში არავინ მიუშვა გვირგვინთან. კარიერაში კი 68 (54 ნოკაუტით) ბრძოლა მოიგო და 5 წააგო.

მასზეც, ისევე როგორც ალიზე, არასოდეს ლაპარაკობდნენ როგორც მხოლოდ მოკრივეზე. ჯო ლუისი ეროვნული მნიშვნელობის ფიგურა და კერპი იყო.

მისი ეპოქა მაშინ დაიწყო, როცა დასავლეთში კარგად იცოდნენ რას ნიშნავდა ფაშიზმი და სად იყო პერლ ჰარბური. ევროპაში რომ ომის სურნელი იწყებდა ტრიალს, ჯო ლუისი შავი ამერიკის გმირი იყო. აქამდე არცერთი დიდი ჩემპიონი არ შემოჭრილიყო მძიმე წონის დივიზიონში [illegible]

ის საოცარი კაცი იყო, არასოდეს უთქვამს რაიმე [illegible] შესახებ. [illegible] ამერიკის გული მოინადირა — იქ თეთრ გოგონასთან ერთად იყო აღბეჭდილი. ამიტომ ჰიტლერმა რომ ტანკების დაქოქვა ბრძანა, ის ისეთივე პოპულარული იყო ნიუ ორლეანში, ჩიკაგოსა და კალამაზუში, როგორც ჰარლემში.

1938 წელს, როცა მთელი მსოფლიო ომის შეგრძნებით ცხოვრობდა, ლუისი იქცა ყოველივე კარგის, მართლის სიმბოლოდ. ჩემპიონის ტიტულისთვის გერმანელ მაქს შმელინგს უნდა შეხვედროდა. ჩემპიონ შმელინგს დიდად არ მოსწონდა თავისი როლი, თუმც მასზე აღარაფერი იყო დამოკიდებული — ხალხის თვალში ის რინგზე მდგომი ჰიტლერი იყო. და როცა „იანკი სთედიუმზე“ გამოსულმა ჯო ლუისმა პირველსავე რაუნდში დასცა შმელინგი, გაირკვა, რომ ამერიკა ომს მოიგებდა.

ეს იყო შავი კაცის მეორე ჩემპიონობა მძიმე წონის ისტორიაში. ოცდარვა წლის წინათ ჯეკ ჯონსონმა ჯიმ ჯეფერსი დაჯაბნა და თეთრ ქვეყანას ცივი წყალი გადაასხა.

ჯო ლუისი ჩემპიონი შეიქნა, მეტად დადებითი განწყობის თანხლებით ის იქცა უპოპულარულეს კაცად. ომის დროს ჩემპიონი ჯარში წავიდა და მისი პოპულარობა არნახულად გაიზარდა. ტიტულისთვის ბრძოლები შეწყვეტილი იყო, მაგრამ ჩემპიონი არ თაკილობდა, უბრალო შეჯიბრებებში გამოდიოდა, როგორც ჯარისკაცი. იმ წლებში ამერიკელებს ის არ უნახავთ ჯო ლუისი სამხედრო ფორმის გარეშე და ამიტომაც არასოდეს ივიწყებენ მას.

სპორტული თვალსაზრისით ლუისი ძალიან ძლიერი მოკრივე იყო. ეგებ, ყველაზე ძლიერიც ამ საუკუნეში. მას ბომბდამშენს ეძახდნენ. ნამდვილი საბრძოლო მანქანა გახლდათ. თუმც, ნაკლიც ჰქონდა. დაცვის კაცი არ იყო და ნიკაპის სიძლიერითაც ვერ დაიტრაბახებდა. ჯერსი ჯო უოლკოტმა ორჯერ დააგდო, ბილ კონმა გაასილაქა, ჯეიმს ჯ. ბრედოკმა კუთხეში მიიმწყვდია. მაგრამ ლუისის დარტყმები... მოკლე, ელვისებური, სწრაფი, საშინელი ძალისა, დარტყმები ორასფუტიანი კაცისა იყო, არის და იქნება გაუმეორებელი. მანამდე არცერთ მოკრივეს არ უჩვენებია ამგვარი ძალა და ამგვარი ტექნიკა შეტევისა.

თუმც, ლუისის მეფობის დასასრული დრამატული იყო. 1950 წელს, მისმა დარტყმებმა ბევრი ვერაფერი დააკლო ეზარდ ჩარლზს. ერთი წლის თავზე კი, როცა როკი მარჩიანომ თოკებთან მიაგდო ლუისი და მერვე რაუნდში გამოუყვანა წირვა, გაირკვა — კრივში ახალი თაობა მოდიოდა. მოდიოდა ხმაურითა და ახალი ცოდნით.

*ორი კვირის თავზე შემოგთავაზებთ კიდევ ორ ჩანახატს საუკეთესო ოცეულის წევრებისა. ჩვენი გმირები იქნებიან მესამე ნომრად არჩეული შუგარ რეი რობინსონი და მეცხრე ადგილზე დასახელებული როკი მარჩიანო.*



მუჰამედ ალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა



ბელარუსმა ედუარდ აპლევიჩმა თურქი სერეფ ეროღლუ დასცა და ნახევარფინალშიც იჭიდავებს

# ცერცვაძე და მელელაშვილმა სიდნეი გაინაღდეს

„ბერძნულ-რომაულად“ მოჭიდავეები ალექსანდრე ცერცვაძე (54) და ტარიელ მელელაშვილი (76) სიდნეიში წამსვლელთა რიგებს შეუერთდნენ. ეს ათენში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გაირკვა, სადაც ოლიმპიურ ლიცენზიას საუკეთესო რვა ფალავანი იღებს. ცერცვაძე და მელელაშვილი მეოთხედფინალში გავიდნენ და დღეს მედლებისთვის იბრძოლებენ.

ქუთაისელი ცერცვაძე დებიუტანტია. ბოლო ორ წელიწადს გამუდმებით ტრავმები სტანჯავდა და, რა დასამალია, მასზე დიდ იმედებს არც ამყარებდნენ. თუმცა წლეულს კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი რომ მოიგო, ურიგოდ არ გამოიყურებოდა. ათენში პირველ შეხვედრაში ბულგარელ მილევ სემიონოვთან კი წააგო, მაგრამ მერე ლიტველი რუსლან ვართანოვი დაამარცხა. ეს ჯგუფიდან გასასვლელად ეყო, მერვედფინალში კი ფრანგ სადა ბელგიდუმს აჯობა. ახლა ცერცვაძე მეოთხედფინალსა და მედალზე ფიქრობს.

ტარიელ მელელაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ზედიზედ დაამარცხა კუბელი ფილიბერტო ასგუი და ავსტრალიელი პერსინიდისი, მათ მერვედფინალში პოლონელი არტურ მიშალკიევიჩიც მიაყოლა და ლიცენზიამოპოვებული ახლა ისიც მედალზე ფიქრობს. ამ შეხვედრებში მან მეტოქეებს მხოლოდ 4 ქულა დაუთმო, თავად კი 17 მოაგროვა. ამათ გარდა პირველ დღეს ხალიჩაზე აკაკი ჩაჩუა (63) და გენადი ჩხაიძეც (97) გავიდნენ.

თანაგუნდელებს მხარი ვერ აუბა ევროპის წლევანდელმა ვიცე-ჩემპიონმა აკაკი ჩაჩუამ. მან ძალიან სუსტად იასპარეზა — ორივე შეხვედრა წააგო, მათ შორის პირველი, უზბეკ ყურბანოვთან კატასტროფული ანგარიშით — 0:16 და ჯგუფში ჩარჩა. ის თავს იმით თუ ინუგეშებს, რომ არც პოლონელ ვლოძიმეჟ ზავადსკის შერჩა ევროპაზე მისი გამწარება, მან მერვედფინალში ყაზახ მანუკიანთან წააგო.

გენადი ჩხაიძემ ჯერ ვენესუელელ ალვარო ტორესს აჯობა, მერე კი თავად წააგო უკრაინის სახელით მოასპარეზე ჩვენს თვისტომ დავით სალდაძესთან, თუმც როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, ჯგუფიდან საუკეთესო მეორეადგილოსანის სტატუსით მაინც გავიდა და დღეს მერვედფინალში იჭიდავებს. თუ მოიგო, ისიც ლიცენზიას მოიპოვებს.

**ირაკლი თავაძე**

ველორბოლა

# ვანდენბრუკმა კიდევ სცადა

პარასკევს ესპანეთის გზებზე, „ვუელტას“ მეცხრამეტე ეტაპზე ბელგიელმა ფრანკ ვანდენბრუკმა კიდევ ერთხელ გააოცა თავისი გულშემატკივრები და ოთხ დღეში მეორედ გაიმარჯვა. ამ მოგებით მან დაამტკიცა, რომ ნელ-ნელა იბრუნებს საუკეთესო სპორტულ ფორმას და ოქტომბრის დასაწყისში იტალიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

„კოფიდისის“ წევრმა უეცრად მოუმატა სიჩქარეს ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე, ანუ სწორედ ისე შეუტია, მას რომ სჩვევია. ვანდენბრუკმა შეძლო მანამდე დაწინაურებული მიკელ სარაბეიტიას დაწევა და ესპანელ ქომაგთა გულის გასახეთქად უკან ჩამოტოვებაც.

ბასკმა რობერტო ლაისეკამ, რომელმაც ხუთშაბათს იმარჯვა, გუშინაც სცადა წარმატების მიღწევა და დღის ბოლოსწინა ალმართზე მარკო სერანოსთან ერთად გაექცა პელოტონს. თუმცა დუეტს მალე მოუწია ფარ-ხმალის დაყრამ. ბოლო მთაზე კი ვანდენბრუკმა გაუტია, მაგრამ დიდი სხვაობით ვერ გაასწრო დანარჩენებს და ფინიშამდე 12 კილომეტრით ადრე მთავარ ჯგუფში ჩადგომაც არ იუკადრისა, ოღონდ მხოლოდ მომავალ იერიშამდე. ათიოდე კილომეტრის მერე კი ამის დროც დადგა და ბელგიელმაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

საერთო ჩათვლის პირველ ხუთეულში არაფერი შეცვლილა. საბოლოო გამარჯვების ყველა მეტ-ნაკლებად რეალურმა კანდიდატმა ფინიშის ხაზი ერთი ჯგუფის შემადგენლობაში გადაკვეთა.

დღეს ინდივიდუალური რბოლაა, რომლის შემდეგაც „ვუელტას“ ჩემპიონიც ფაქტობრივად გაირკვევა.

**გაიოზ თალაკვაძე**




**მეცხრამეტე ეტაპი**

ელ ესკორიალი — ავილა, 184,6 კმ

1. ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 4 სთ 54 წთ 18 წმ
2. მიკელ სარაბეიტია (ესპანეთი, ონსე) — +13 წმ
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +20
4. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +20
5. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — +20

**საერთო ჩათვლა**

1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — 84 სთ 40 წთ 40 წმ
2. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +31 წმ
3. რობერტო ერასი — +2 წთ 16 წმ
4. ხოსე მარია ხიმენესი — +3 წთ 01 წმ
5. პაველ ტონკოვი — +3 წთ 42 წმ



იან ულრიხმა სტარტამდე – კაფეში შეიარა

ჰოკეი

# რაფი გაძვირდა

ლინდი რაფი ბუფალოს კიდევ ოთხი წელი უთავკაცებს. „ხმლების“ იღბლიანმა მწვრთნელმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება მომავალი სეზონიდან შევა ძალაში და რაფი ლიგაში ერთ-ერთი ძვირადღირებული მწვრთნელი გახდება. სავარაუდოდ,მისი ყოველწლიური გასამრჯელო 800 000 დოლარი იქნება. ლინდიმ სავსებით დაიმსახურა ეს პატივი. გუნდის მფლობელ ტიმოტი რიგასის თქმით, ეს ადვილი გადასაწყვეტი იყო, ვინაიდან რაფი ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა, რომელსაც გული შესტკივა გუნდისთვის. შედეგიც სახეზეა — ორივე სეზონში მისი თავკაცობით გუნდმა თასის ნახევარფინალს მიაღწია. ეს აქამდე მხოლოდ ორმა მწვრთნელმა შეძლო. შარშან კი, მოგეხსენებათ, ბუფალო დალასთან დამარცხდა ფინალში. არანაკლებ დიდი დამსახურება მიუძღვის რაფს იმაში, რომ როცა 1997 წელს მან ტედ ნოლანი შეცვალა და გუნდში ურთიერთდაპირისპირებასაც წერტილი დაესვა. ლამის დაშლის პირას მისული ბუფალო ძლიერ, შეკრულ კოლექტივად იქცა. სწორედ გუნდური სულისკვეთებისა და მაღალი დისციპლინის ხარჯზე მიაღწია უვარსკვლავო ბუფალომ ესოდენ დიდ წარმატებებს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რაფი ადრე წლების მანძილზე გუნდის კაპიტანი იყო. ასე რომ, მთელი მისი კარიერა ბუფალოსთანაა დაკავშირებული.

**სამველ ლარიბიანი**



ლინდი რაფი

# ეს რუსი სახელს გვიტეხს

რეინჯერსის მცველმა სტეფან ქინტალმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა. მან მკაცრად გააკრიტიკა ოტავას ლიდერი ალექსეი იაშინი, რომელიც დღემდე შვეიცარიაშია და გუნდში გამოცხადებას არ აპირებს. „ვთვლი, რომ იაშინმა თავისი კონტრაქტის ყველა პირობა უნდა შეასრულოს. მით უმეტეს, რომ ჰოკეისტი უკვე მესამედ მიმართავს ერთსა და იმავე ხერხეს — გაფიცვას. იაშინი და მისი აგენტი მარკ განდლერი დანარჩენ ჰოკეისტებსაც სახელს უტეხენ“ — მოურიდებლად განაცხადა ქინტალმა. მისი აზრით, იაშინი კიდევ უფრო ძაბავს ისედაც საკმაოდ რთულ ურთიერთობას ნჰლ-ის მესვეურთა და მოთამაშეთა ასოციაციას (WHLPA) შორის. მოგეხსენებათ, სწორედ ამათი კონფლიქტის გამო 1994-95 წლების სეზონში ჰოკეისტები გაიფიცნენ და ჩემპიონატი მხოლოდ ახალი წლის შემდეგ დაიწყო. მაშინ მოდავეებმა კოლექტიური ხელშეკრულება დადეს, რომლის ვადაც 2004 წელს იწურება.

შეგახსენებთ, რომ იაშინს წლეულს, კონტრაქტით გათვალისწინებულ ბოლო სეზონში, 3,6 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

# მალახოვი ახალ საუკუნეს ელის

რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე ათიოდ დღით ადრე მონრეალმა სერიოზული დანაკლისი განიცადა. მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა მცველმა ვლადიმერ მალახოვმა, ედმონტონთან საგამოფენო თამაშში მუხლი დაიზიანა და მინიმუმ ოთხი თვით გამოეთიშა ასპარეზობას. ეს უდავოდ დაასუსტებს კანადელებს, რომელთაც ბოლო წლებში ისედაც ბევრი პრობლემა აქვთ დაცვაში. „უარესს ვერც წარმოვიდგენდით, ისლა დაგვრჩენია, ჩვენი ბიუჯეტისთვის ხელმისაწვდომი მცველი მოვნახოთ“ — თქვა გუნდის მწვრთნელმა ალენ ვინიომ. გასულ სეზონში მალახოვი 34 (13+21) ქულით კლუბში მესამე ბომბარდირი იყო. იგი განსაკუთრებით რიცხვმრავლობაში გამოირჩეოდა.

დღესდღეობით მონრეალს კიდევ სამი წამყვანი მოთამაშე აკლია — მცველი პატრის ბრისბუა და ორი ფორვარდი: ბენუა ბრიუნე და საკუ კოივუ.

## გერმანია

VI ტური

ჰამბურგი 2:2 ვოლფსბურგი

1:0 კარდოზო (10), 1:1 აკპობორი (12), 2:1 კარდოზო (56), 2:2 აკპობორი (65)

ბაიერნი 0:1 შტუტგარტი

0:1 ბალაკოვი (75პ)

II ბუნდესლიგა. VI ტური

ბოხუმი 1:2 ფიურტი

ნიურნბერგი 1:0 ხემნიცი

მაინცი 1:0 ჰანოვერი

## ინგლისი

III დივიზიონი. IX ტური

მენსფილდი 4:0 შრიუსბერი

## იტალია

სერია B. V ტური

ჯენოა 2:0 სალერნიტანა

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XI ტური

კაენი 1:0 ლილი

კრეტეი 0:1 ლორიანი

## ჰოლანდია

VI ტური

აიაქსი 3:1 ვიტესი

0:1 ვან ჰოიდონკი (13), 1:1, 2:1 ლაუდრუპი (22, 62), 3:1 არველაძე (84)

## ჩეხეთი

VIII ტური

დუკლა 0:2 სიგმა

სპარტა 0:0 ბოჰემიანსი

## თურქეთი

V ტური

სამსუნი 0:1 გალათასარაი

## ავსტრია

XIII ტური

რიდი 5:0 ტიროლი

## ბელგია

VII ტური

მუსკრონი 1:3 სტანდარდი

## კასპაროვი — მსოფლიო






ელექტრონული ბიბლიოთეკა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. მxd4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლxe4 12. მc7+ მფd7 13. მxa8 ლxc4 14. მb6+ axb6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ეxb1



## გახდომის მსურველებს

აქ, ვაშინგტონის წყნარ გარეუბანში ისინი იკრიბებიან, ვინც ლიპსა და ბარძაყთა სიმძიმეს შეუწუხებია. როგორც ნაღდი პროფესიონალები, გახდომის მსურველნი დილის შვიდის ნახევარზე მზად არიან და უსიტყვოდ ემორჩილებიან ინსტრუქტორ პატრიკ ეივონს. ეივონი კი განთქმული „სერჯენტის პროგრამის" მიხედვით ახდუნებს ხალხს.

## ილიე რომანისტი

ერთი დროის ბობოქარი ვარსკვლავი, ალბათ ყველაზე პოპულარული რუმინელი სპორტსმენი, ჩოგბურთის დიდოსტატი ილიე ნასტასე მწერალიც შექმნილა და საჩოგბურთო თემაზე რომანიც დაუწერია, რომელსაც „ტაი-ბრეიკი" ჰქვია. იყიდეთ, ჩემი წიგნიო, გვეუბნება ილიე...




წიგნის პრეზენტაცია საგანგებოდ დაუმთხვევიათ დევისის თასის რუმინეთი-გერმანიის შეხვედრის წარდგენისათვის, რომელიც ბუქარესტში გამართულა. იქა ყოფილა გერმანელთა მენეჯერი ბორის ბეკერიც და მისი ყოფილი ასევე მენეჯერი იონ ცირიაკი, ასევე განთქმული რუმინელი ჩოგბურთელი.

## სარაგბო რეისი

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსიც" მიემგზავრება ბრიტანეთში. აბა ამათ აქვთ მიზნები, თუ აქვთ. ბრიტთა მინდვრები უნდა გადავხნათ და მსოფლიოს თასი დედამიწის კიდეზე უნდა დავაბრუნოთო, გულში ალბათ ფიქრობს რაგბის უსწრაფესი მთავაცი, ჯონა ლომუ, ვისაც ოკლენდის აეროპორტში გოგოშკები დახვევიან, ხელი მოგვიწერე და დალოცვილი იყავიო.



## რაიდერის ქალები

ცოტაც და ბრუკლინის „ქანთრი ქლაბში" დაიწყება ორი სამყაროს დიდი საგოლფო ჭიდილი განთქმულ რაიდერის თასისთვის. ამერიკელები შეეცდებიან თასი გამოსტაცონ ევროპის ნაკრებს. ფოტოზე აღბეჭდილია ოკეანისგაღმელთა ნაკრების წევრთა ცოლები და გოგომხანაგები, რომლებიც გახსნის ცერემონიალზე მიუწვევიათ. პირველი ამათ შორის ჯოანა იაგოდა ზის, ყვანჯის გენიოს ტაიგერ ვუდსის გოგო.






## რონალდო ომში

ინდონეზიაში რაღაც გადასახადი თუ კანონი შემოუღიათ ისეთი, მთელი ჯაკარტას სტუდენტობა გადარეულა და პოლიციას შებმია ადმაჯაიას კათოლიკური უნივერსიტეტის შემოგარენში. ამ ბიჭს კი, თუ მოუნდათ, იოლად დაიჭერენ. წამსვე ამოიცნობენ მილანის „ინტერის" მაისურაზე წარწერილი გვარით. ასეა, რონალდო პოლიციას ეხმარება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli